# სარბიელი

სპორტული გაზეთი ოთხშაბათი 31 ოქტომბერი 2001 №208 (1481) ფასი 50 თეთრი

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ძალოვანები შევარდნაზე არიან



გუშინ რუსთავი 2-ის ოფისის ეზო სახალხო ეზოდ იქცა

## საშიშროება თავისუფალი სიტყვისთვის
## უშიშროება რუსთავი 2-ში

საქართველო დიდი ხანია ის ქვეყანა, სადაც კაცს ღამით გაალვიძებენ და დაკითხვაზე წაათრევენ.

საქართველო დიდი ხანია ის ქვეყანა, სადაც ადამიანებს ძალით ტენიან მანქანებში.

საქართველო დიდი ხანია ის ქვეყანა, სადაც ადამიანს მის მიერვე დაქირავებული ხელისუფლება არ იცავს და არ უვლის.

როდის იყო საქართველო სხვაგვარი ქვეყანა, აღარავის ახსოვს.

მთელი გასული საუკუნის განმავლობაში საქართველოში პატიოსან ადამიანებს იჭერდნენ, აწამებდნენ და ხვრეტდნენ.

მსოფლიო სადღაც წინ არის, საქართველო – უკან.

იმიტომ, რომ საქართველოში ადამიანი კი არ არის მთავარი, არამედ ის, რომ ადამიანი არ იყო.

## რატომღაც საქართველოს ქვეყანა ჰქვია

## მართლა ქვეყნებში კი გუშინ ხალხი ფეხბურთით ცხოვრობდა: ჩემპიონთა ლიგა იყო...

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ჩემპიონთა ლიგა. მეექვსე ტური. გუშინ

## A ჯგუფი

### რომა 1:1 ანდერლეხტი

0:1 მორნარი (11), 1:1 დელვეკიო (52)
რომა: პელიცოლი, კაფუ, ალდაირი, სამუელი, სივილია, ტომაზი (დე როსი 71), ასუნსაო, ემერსონი, გიგუ, კასანო (ბალბო 76), დელვეკიო
მწვრთნელი: ფაბიო კაპელო
ანდერლეხტი: დე ვილდე, კრასონი (ვან ჰუტი 46), დე ბუკი, ილიჩი, ლ. ტრაორე, ვანდერეგე, ბასეჯიო, ჰენდრიქსი (ოიენი 46), სტოიკა, იაშჩუკი, მორნარი (იესტროვიჩი 78)
მწვრთნელი: ემე ანტუნესი
მსაჯი: ერიკ პულა (საფრანგეთი)
28 157 მაყურებელი

### ლოკომოტივი 2:0 რეალი

1:0 ბუზნიკინი (30), 2:0 ჩერევჩენკო (50)
ლოკომოტივი: ნიგმატულინი, ჩერევჩენკო (დროზდოვი 86), ლეჩკოვი, იგნაშევიჩი, ჩუგაინოვი (ობრადოვიჩი 24), იზმაილოვი, მამინოვი, ლოსკოვი, ბუზნიკინი (ობიორა 75), სენნიკოვი, პიმენოვი
მწვრთნელი: იური სიომინი
რეალი: სესარი, მინამბრესი, ელგერა, პავონი, რაულ ბრავო, მაკელელე (რუბენი 68), სელადესი, მაკმანამანი (ვალდო 60), სოლარი, მუნიტისი, მორიენტესი (არანდა 60)
მწვრთნელი: ვისენტე დელ ბოსკე
გაფრთხილება: ობრადოვიჩი, ელგერა
მსაჯი: მაიკლ რილი (ინგლისი)
18 000 მაყურებელი

**საბოლოო ცხრილი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| რეალი | 6 | 4 | 1 | 1 | 13:5 | 13 |
| რომა | 6 | 2 | 3 | 1 | 6:5 | 9 |
| ლოკომოტივი | 6 | 2 | 1 | 3 | 9:9 | 7 |
| ანდერლეხტი | 6 | 0 | 3 | 3 | 4:13 | 3 |

„რეალი“ და „რომა“ გავიდნენ მეორე ეტაპზე, „ლოკომოტივი“ უეფას თასზე

## B ჯგუფი

### ლივერპული 2:0 დორტმუნდი

1:0 შმიცერი (15), 2:0 რაიტი (82)
ლივერპული: დუდეკი, ს. რაიტი, ჰენჩოზი, კარაგერი, რიისე, ჯერარდი (რედნაპი 85), შმიცერი (ბერგერი 65), ჰამანი, მერფი, ოუენი (ფაულერი 76), ჰესკი
მწვრთნელი: ფილ ტომპსონი (თანაშემწე)
დორტმუნდი: ლემანი, ვორნსი, როიტერი, მეცელდერი, დედე, ოლისე (ბობიჩი 68), ევანილსონი, როსიცკი, რიკენი, იან კოლერი, სორენსენი
მწვრთნელი: მათიას ზამერი
გაფრთხილება: მეცელდერი, ჰამანი, დედე
მსაჯი: კიმ-მილტონ ნილსენი (დანია)
41 507 მაყურებელი

### დინამო 1:0 ბოავიშტა

1:0 მელაშჩენკო (48)
დინამო: რევა, ხაცკევიჩი, ვაშჩუკი, მელაშჩენკო, ბელკევიჩი, გიოანე, პეევი (ჩერნატი 70), გუსინი, შაცკიხი (სერებრიანიკოვი 90), ფიოდოროვი (გავრანჩიჩი 58), ნესმაჩნი
მწვრთნელი: ვალერი ლობანოვსკი
ბოავიშტა: რიკარდუ, პედრუ ემანუელი (სერჟიოუ 77), ერივენი, დუდა, ელპიდიუ სილვა (მარსიუ სანტუში 51), მარიუ, ფრეშაუ, პეტი, ბოსინგვა, ალეშანდრე (მარტელინიო 51), სანჩესი
მწვრთნელი: ჟაიმე პაშეკუ
გაფრთხილება: მელაშჩენკო, ნესმაჩნი, გავრანჩიჩი, პეტი, ხაცკევიჩი
მსაჯი: ფრიც შტუხლიკი (ავსტრია)
10 000 მაყურებელი

**საბოლოო ცხრილი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ლივერპული | 6 | 3 | 3 | 0 | 7:3 | 12 |
| ბოავიშტა | 6 | 2 | 2 | 2 | 8:7 | 8 |
| დორტმუნდი | 6 | 2 | 2 | 2 | 6:7 | 8 |
| დინამო | 6 | 1 | 1 | 4 | 5:9 | 4 |

„ლივერპული“ და „ბოავიშტა“ გავიდნენ მეორე ეტაპზე, „დორტმუნდი“ უეფას თასზე

## C ჯგუფი

### მალიორკა 1:0 პანათინაიკოსი

1:0 ლეო ბიაჯინი (57)
მალიორკა: მიკა, ოლაიზოლა, ნადალი, ფერნანდო ნინიო, მიგელ სოლერი, მარკოსი, კამპანო, პაუნოვიჩი (რობლესი 70), ნოვო (ჩიჩი სოლერი 63), ლეო ბიაჯინი (ლუკე 77), ეტოო
მწვრთნელი: სერჯიო კრეშიჩი
პანათინაიკოსი: ნიკოპოლიდისი, ვოკოლოსი, გუმასი, კირიაკოსი, ფისასი, კარაგუნისი (ვარდიზა 82), ბოატენგი, სარიჩი, ლიბეროპულოსი, კოლკა (გალეტო 73), ვლაოვიჩი (კონსტანტინუ 82)
მწვრთნელი: იოანის კირასტასი
გაფრთხილება: ვოკოლოსი, რობლესი, ლუკე
მსაჯი: რუნე პედერსენი (ნორვეგია)
20 000 მაყურებელი

### შალკე 3:1 არსენალი

1:0 მულდერი (2), 2:0 ვერმანტი (59), 3:0 მიოლერი (63), 3:1 ვილტორდი (70)
შალკე: რეკი, ჰაიტო, ვალდოხი, მატელანი, ნემეცი (ტონი 46), ვან ჰოოგდალემი (კმეტში 63), ვერმანტი (კ. ჯორჯევიჩი 73), მიოლერი, ბოომი, მულდერი, სანდი
მწვრთნელი: ჰუუბ სტივენსი
არსენალი: რ. რაიტი, ლუჟინი, კემპბელი (კიოუნი 67), აპსონი (სტეპანოვსი 67), ეშლი კოული, პარლოუ, გრიმანდი, ედუ, პირესი, კანუ (ვენგერი 77), ვილტორდი
მწვრთნელი: არსენ ვენგერი
გაფრთხილება: ბიომი, ედუ, მატელანი, მულდერი
გაძევება: ლუჟინი (16)
მსაჯი: რიხარდ ვოიჩიკი (პოლონეთი)
52 500 მაყურებელი

**საბოლოო ცხრილი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| პანათინაიკოსი | 6 | 4 | 0 | 2 | 8:3 | 12 |
| არსენალი | 6 | 3 | 0 | 3 | 9:9 | 9 |
| მალიორკა | 6 | 3 | 0 | 3 | 4:9 | 9 |
| შალკე | 6 | 2 | 0 | 4 | 9:9 | 6 |

„პანათინაიკოსი“ და „არსენალი“ გავიდნენ მეორე ეტაპზე, „მალიორკა“ უეფას თასზე

## D ჯგუფი

### ნანტი 1:0 ლაციო

1:0 ანდრე (72)
ნანტი: ლანდრო, ფაბრი, ლასპალი, ჟილე, ოლემბე, ანდრე (დეროფი 87), დელომი, აჰამადა (და როშა 66), ჯემბა, არმანი, ზიანი
მწვრთნელი: რეინალდ დენიო
ლაციო: პერუცი, სტამი, ნესტა, ფავალი, ნეგრო, ჯანიკედა, სესარი, ფიორე (დ. სტანკოვიჩი 83), მენდიეტა (კოვაჩევიჩი 67), კრესპო, კლაუდიო ლოპესი (ს. ინძაგი 46)
მწვრთნელი: ალბერტო ძაკერონი
გაფრთხილება: ჯანიკედა, ნესტა, ფავალი
მსაჯი: ტერიე ჰაუგე (ნორვეგია)
37 000 მაყურებელი

### გალათასარაი 2:0 პსვ ეინდჰოვენი

1:0 სერგენი (26), 2:0 არიფი (50)
გალათასარაი: მონდრაგონი, ემრე ასიქი, ბიულენთ აკინი, ვიქტორია, პერესი, ფლურკინი, ერგუნი, არიფი (სუათი 81), უმით კარანი (სერქანი 70), სერგენი (აიჰანი 73), ჰასან შაში
მწვრთნელი: მირჩა ლუჩესკუ
პსვ ეინდჰოვენი: ლოდევაიქსი, ოიერი, ფაბერი, ჰოფლანდი, ჰაინცე, ფოგელი, დე იონგი (ბოგელუნდი 82), ლუსიუსი (ვენეგოორ ოფ ჰესელინკი 60), რომედალი, ბუმა (ბახუაიძე 71), კეჟმანი
მწვრთნელი: ერიკ გერეტსი
გაფრთხილება: ემრე ასიქი, ფლურკინი, კეჟმანი, ჰასან შაში, ჰოფლანდი
მსაჯი: ლუბოშ მიხელი (სლოვაკეთი)
22 000 მაყურებელი

**საბოლოო ცხრილი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ნანტი | 6 | 3 | 2 | 1 | 8:3 | 11 |
| გალათასარაი | 6 | 3 | 1 | 2 | 5:4 | 10 |
| პსვ ეინდჰოვენი | 6 | 2 | 1 | 3 | 6:9 | 7 |
| ლაციო | 6 | 2 | 0 | 4 | 4:7 | 6 |

„ნანტი“ და „გალათასარაი“ გავიდნენ მეორე ეტაპზე, „პსვ ეინდჰოვენი“ უეფას თასზე




REUTERS ლივერპულიდან

ლივერპული — დორტმუნდი. გერმანელთა ბრაზილიელმა დედემ სტივენ ჯერარდს ბურთი არ დაანახა



REUTERS ნანტიდან

ნანტი — ლაციო. ჰასან აჰამადა და გაისკა მენდიეტა (№6)

## უეფას თასი. მეორე ეტაპი
### საპასუხო მატჩები

UEFA CUP

ვისლა (პოლონეთი) 1:0 **ინტერი (იტალია)** (0:2)
1:0 ჟურავსკი (4)

**ლიტექსი (ბულგარეთი)** 0:0 უნიონი (გერმანია) (2:0)
გაძევება: ზაჩევი (59, „ლიტექსი“)

**აეკ (საბერძნეთი)** 3:2 ოსიეკი (ხორვატია) (2:1)
0:1 ფერუზემი (14ს.კ.), 1:1 ლაკისი (31), 2:1 ცარტასი (39), 2:2 მიტუ (44), 3:2 ს. კონსტანტინიდისი (80)

## ინგლისი

### I დივიზიონი. XVII ტური

ბრედფორდი 3:3 უიმბლდონი
ჯილინგემი 2:2 ბარნსლი
გრიმსბი 0:2 ნორვიჩი
პორტსმუთი 1:1 ბირმინგემი
როტერჰემი 2:2 ძრიუ
შეფილდ იუნაიტედი 0:2 უოტფორდი
სტოკპორტი 0:2 უოლსოლი

## ჰოლანდია

### I დივიზიონი

გადადებული მატჩი
სპარტა 2:3 ბრედა

## შოტლანდია

### პრემიერლიგა

გადადებული მატჩი
დანდი 3:1 მოზერუელი
1:0 სარა (32), 1:1 რიდი (45), 2:1 ძიცბაია (55), 3:1 კაბალიერო (62)



# რევაზ პირველი

## ძოძუაშვილი საქართველოს ქუთაისიდან მართავს

**ფოთის „კოლხეთი“** ჩემპიონატის დაუმარცხებელ ლიდერ ქუთაისის „ტორპედოს“ მასპინძლობდა და მსაჯის მიერ წამატებულ დროში გატანილი გოლით გაიმარჯვა.

მატჩი სპექტაკლს ჰგავდა — თითქმის ყველა, ჟურნალისტიც და „ფაზისზე“ მყოფი ქომაგიც ამას ამბობს.

ჯერჯერობით დუმს ფედერაცია და ამ მატჩის ინსპექტორი ანატოლი მილჩენკო. კონკრეტული ფედერაციაში ამ მატჩის თაობაზე არაფერი უთქვამთ. არადა, პრეცედენტი კი ყოფილა, ფედერაციას საეჭვო თამაშზე რეაგირება მატჩის დასრულებისთანავე რომ მოუხდენია. გაიხსენეთ თუნდაც წინა ჩემპიონატის მეორე ეტაპის მატჩი თბილისში, „მერანმა“ რომ იგივე „კოლხეთს“ უმასპინძლა, შედეგი თამაშის დამთავრებიდან 15 წუთში გაუქმდა.

რა იქნება ახლა? დაველოდოთ ფედერაციის პრეზიდენტ მერაბ ჟორდანიას უცხოეთიდან დაბრუნებას. როგორც ვიცით, ის თბილისში ხვალ-ზეგ უნდა ჩამოვიდეს.

იქამდე კი ეს ინტერვიუ წაიკითხეთ. „ტორპედოს“ მწვრთნელი რევაზ ძოძუაშვილი ფოთის მატჩის თაობაზე ფაქტობრივად იმას ამბობს, რისთვისაც ფედერაციამ გაზაფხულზე „მერანიც“ დასაჯა და „ტორპედოს“ შაბათის მეტოქე „კოლხეთიც“. ქუთაისელთა მწვრთნელი იმაზეც გვპასუხობს, ამ მატჩზე მყოფ „სარბიელის“ კორესპონდენტს პრესკონფერენციაზე მისთვის რომ უნდა ეკითხა.

— მატჩი რომ დამთავრდა, მე 15-20 წუთი გასახდელში ვიყავი. არსად არ წავსულვარ. ჩემთვის არავის უთქვამს, პრესკონფერენცია იქნებაო. ჟურნალისტებმა იცით, რომ პრესკონფერენციას არასდროს მოვრიდებივარ — გვითხრა რევაზ ძოძუაშვილმა — იქ ვიყავი და ვინმეს რომ ჩემთვის ეთქვა, ჟურნალისტები გელოდებიანო, რაღა თქმა უნდა, პრესკონფერენციას დავესწრებოდი.

**— მატჩზე რას იტყვით. ბევრი ეჭვობს, რომ „კოლხეთი“ — „ტორპედო“ ჩაწყობილი იყოო.**

— მატჩი ჩაწყობილი არ ყოფილა. არც ფული აგვიღია და არც სხვანაირად ვყოფილვართ მეტოქესთან რაიმეზე შეთანხმებულნი.

**— აბა, რით ახსნით ქუთაისელ ფეხბურთელთა უგულო, უაზარტო, ყოვლად უემოციო თამაშს?**

— იცით, „ტორპედოს“ ექვსეულში მოხვედრა უკვე განაღდებული აქვს. ჩვენ ლიდერები ვართ და მეორე ეტაპის დაწყებამდე, ალბათ, ასეც იქნება. საქმე კი ისაა, რომ მეორე ეტაპზე, როცა ჩემპიონობისთვის და პრიზიორობისთვის მებრძოლ გუნდთა რაოდენობა განახევრდება, არ გვსურს, დაწინაურებული ექვსი გუნდიდან ხუთი, თუნდაც ოთხი, აღმოსავლეთ საქართველოდან იყოს. „ტორპედოს“ სურს, რომ ექვსეულში დასავლური გუნდების რაოდენობა სამი ან მეტი იყოს. ელემენტარულია, ნაკლები მგზავრობა მოგვიწევს და დასვენებისთვის მეტი დრო დაგვრჩება. მაგალითად, ქუთაისიდან თბილისში წამოსვლას, იგივე ფოთში ჩასვლა გვიჯობს.

**— კონკრეტულად, „კოლხეთთან“ მატჩისას რა მოხდა?**

— რომ მკითხეთ, რით ახსნით ფეხბურთელთა უგულო თამაშსო, გპასუხობთ. „ტორპედოს“ აღმოსავლეთში წამოსვლას აგერ, სამეზობლოში თამაში ურჩევნია. ამიტომაც იყო, ფეხბურთელები „კოლხეთთან“ საბრძოლველად ვერ განეწყვნენ და შესაძლებლობების მაქსიმუმი ვერ გამოავლინეს.

**— თქვენ თუ სცადეთ ფეხბურთელების თამაშისთვის შესაბამისად მომზადება?**

— ვცადეთ, როგორ არა. ბევრი ვეჩიჩინეთ, ითამაშეთ, ნურაფერს დათმობთო, მაგრამ არაფერი გამოგვივიდა. ფსიქოლოგიურად ისინი მოდუნებულნი იყვნენ და მათი მობილიზაცია ვერ შევძელით.

**— გამოდის, რომ „ტორპედო“ ექვსეულში მოსახვედრად „კოლხეთის“ კონკურენტებთან, თბილისის „დინამოსთან“, თბილისის „ვიტ ჯორჯიასთან“, თბილისის „მერანთან“ მთელი ძალით ითამაშებს.**

— რა თქმა უნდა, მთელი ძალით ვითამაშებთ. და ყველაფერი იცით, რისი ბრალია? ფედერაციის მოგონილი ჩემპიონატის სტრუქტურის. პირველი ეტაპის შემდეგ გუნდების რაოდენობა და შესაბამისად მოპოვებული ქულებიც არ უნდა განახევრდეს. მოიგებ თამაშს? სამი ქულა შენი უნდა იყოს. აბა, პირველი ეტაპის მერე, მეორეადგილოსანი, დავუშვათ 10 ქულით გვყავს მოტოვებული, მეორე ეტაპი ხუთქულიანი ფორით რატომ უნდა დავიწყოთ. სტრუქტურაა გადასახედი. დაიწყო ჩემპიონობისთვის ბრძოლა 12 გუნდმა, ამდენივემ დაამთავროს. სისულელეა ეს ექვსეულები.

**— ბატონო რეზო, თქვენი სიტყვებიდან გამომდინარე, „ტორპედომ“ ფოთში სპორტული პრინციპი დაარღვია.**

— სპორტული პრინციპი? არა, არ დაგვირღვევია. რომ არ იყოს ეს ექვსეულები, უკეთესი იქნება, თორემ, ხომ გითხარით. „ტორპედოს“ ჩემპიონობისთვის ბრძოლის გაგრძელება განაღდებული აქვს და ძნელია, მაშინ, როცა არარანაირი სტიმული არ გაქვს, კარგად ითამაშო.

**— ერთსაც გკითხავთ. რაც უნდა იყოს, სტუმარი გუნდი რომ ანგარიშს ბოლო წუთზე ათანაბრებს, მის ფეხბურთელებს ეს არ უნდა გაუხარდეთ? ემოცია ოდნავ მაინც არ უნდა გამოხატონ?**

— ღიდავას გოლი მსაჯმა საკმაო პაუზის შემდეგ ჩათვალა. დარწმუნებული არავინ იყო, ბურთმა კარის ხაზი თუ გადაკვეთა. ამასობაში კი ემოციაც განელდა.

აი, ეს გვითხრა „ტორპედოს“ მწვრთნელმა რევაზ ძოძუაშვილმა უკვე გახმაურებული მატჩის თაობაზე.

ქვემოთ კი საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის საგანგებო კომიტეტის ის დადგენილება იხილეთ, რის საფუძველზეც „მერანი“ — „კოლხეთის“ 2:4 გაუქმდა და მეტ-ნაკლებად ორივე გუნდი დაისაჯა. წაიკითხეთ, იქნებ „ტორპედოს“ მწვრთნელის სიტყვებსა და ამ დადგენილების ტექსტში რაიმე საერთო იყოს?!

**ძოგა ინასარიძე**

### საგანგებო კომიტეტის დადგენილება

2001 წლის 4 მაისი

*1. ფოთის „კოლხეთს“ ჩამოერთვას არასპორტულ ბრძოლაში მოპოვებული სამი ქულა და ჩაეთვალოს წაგება 0:3.*

*2. ფეირ-პლეის პრინციპების დარღვევისა და არასპორტული საქციელისთვის „მერანს“ ჩაეთვალოს წაგება 0:3, ჩამოერთვას 3 ქულა, დაჯარიმდეს 5 ათასი ლარით.*

*3. ორივე გუნდს მიეცეს პირობითი დისკვალიფიკაცია სეზონის ბოლომდე.*

საქართველოს უმაღლესი ლიგა ჩემპიონატი
პირველი ეტაპი
13 ტური
მიმოხილვა

# სატურნირო სუფრული

## გააგზავნი სამს, მიიღებ ექვსს

**ფოთში** ისევ საეჭვო თამაში იყო, მართლაც რომ თამაში. ბოლნისშიც კიდევ ერთხელ გაილახა მსაჯი, ოღონდ ამჯერად სტუმარი ფეხბურთელისგან. „ბათუმმა" როგორღაც მოახერხა და მოუგო „ვიტ ჯორჯიას". ზესტაფონსა და რუსთავში მასპინძლებს გამარჯვების უმცირესი შანსიც არ ჰქონიათ, ხოლო ლანჩხუთში კიდევ ერთხელ დაისადგურა მშვიდობამ.

6 მატჩში თამაში არ გამოერია ისეთი, სანახავად ღირებულიყო. უამრავი ხარვეზი, ქარს გატანებული ასპროცენტიანი საგოლე მომენტები და უნიათო ბურთაობა... ეს ეროვნული ჩემპიონატის მეცამეტე ტურია.

რაც ფოთში მოხდა, ერთი რამ შეიძლება ვუწოდოთ, ქომაგისთვის თვალებში ნაცრის შეყრა. „ფაზისზე" იყო ანტიფეხბურთის ზეიმი, რომელსაც, სამწუხაროდ, ალბათ სამართლიანი დაბოლოება არ მოჰყვება. ამის თქმის საფუძველს ფედერაციის დამოკიდებულებაც იძლევა. ჩამოვა პრეზიდენტი და „კოლხეთი" — „ტორპედოს" საეჭვო თამაშს მერე დავუბრუნდებითო — თქვეს იქაურმა ჩინოსნებმა.

ისე, ფედერაციამ რის საფუძველზე უნდა მოახდინოს რეაგირება, მატჩის ფირი ხომ არ არსებობს. კი, არსებობენ ფაზისური თამაშის მსაჯები, მატჩის ინსპექტორი ანატოლი მილჩენკოც კაი ჯანზეა, მაგრამ ისინი ამას არ იტვირთებენ, ამაში დარწმუნებული ვარ. ფოთში მასხარაობის ფირზე აუსახველობისთვის „კოლხეთი" გადაიხდის ფულად ჯარიმას და მორჩა. „კოლხეთს" კიდევ ერთხელ, მით უმეტეს, „ტორპედოს", დასჯას ვინ გაუბედავს.

„თემურ სტეფანიას" მღელვარე ტრიბუნები კიდევ ერთი ინციდენტის მომსწრე შეიქნა. კიდევ ერთ მსაჯს სცემეს, ამჯერად ქუთაისელი პაატა დოგრაშვილი ვერ ასცდა უსიამოვნებას. არბიტრის შეურაცხმყოფელი, ჩვენდა და ბოლნისელთა გასაკვირადაც, სტუმარი ფეხბურთელი აღმოჩნდა. დღეს გოჩა გუჯაბიძის მონაწილის ბარათი ფედერაციაშია დატუსაღებული და რამდენი ხნით მოუწევს იძულებითი დასვენება, ამას სადისციპლინო კომიტეტი გადაწყვეტს.

„მერანს" ბოლნისში თამაშის მოგება მართებდა, იგებდა კიდეც და უპირატესობის გაზრდაც შეეძლოთ ავჭალელებს, მაგრამ დავითაშვილმა პენალტი ვერ გაიტანა და...

ერთი საყვედური „სიონის" ქომაგებზეც უპრიანი იქნება — ბოლნისელებს წარსული დავიწყებიათო, როგორ დავიჩემოთ. სიყვარული გაუქრათო აღას და ფანებს. არც ამის მტკიცება იქნება სამართლიანი. აბა, ოთარ გაბელიას აგინო იმიტომ, რომ „მერანის" თავკაცია, ნამდვილად არ ეკადრებათ ქვემოქართლელებს.

ასლან ბალაძის „ბათუმმა" ნავსი გატეხა. ბათუმში ერთბაშად სამი გოლი გაუშვა „ვიტ ჯორჯიამ" და ძირითადის სამი ფეხბურთელიც აკლდა. სტუმრებს ერთი შეხედვით ცუდად არ უთამაშიათ. ბევრს უტევდნენ, საგოლე მომენტებიც შექმნეს, მაგრამ გოლები მასპინძლებს გაჰქონდათ. „ბათუმმა" რამდენჯერაც შეუტია, თითქმის იმდენჯერ იხეირა. ამასაც ხომ ცოდნა და მოხერხება უნდა.

„დინამოს" იმ მომენტების ნახევარი მაინც გამოეყენებინა, „გორდას" კართან რომ შექმნა, ახლა გატანილ-მიღებულის საუკეთესო მაჩვენებელი ექნებოდა. სწორედ ამაზე ჩიოდა ნამატჩევს გივი ნოდია. უამრავ ხიფათს ვუქმნით მოწინააღმდეგეს და გატანით თითო-ოროლაღა გაგვაქვსო.

ზესტაფონში „მეტალურგს" ერთი შანსიც არ ჰქონია, „ლოკომოტივი" შეეჩერებინა. სამი უპასუხო გოლიც გვარიანი უპირატესობის მანიშნებელია.

„გურია" კი ხელგაშლილ მასპინძლად გადაიქცა. მიდის და მიაქვთ „ევგრაფი შევარდნაძიდან" ქულები. ლანჩხუთში „სამგურალს" მოგება-წაგებაც თანაბრად შეეძლო, თუმც საბოლოოდ ფრე დაფიქსირდა.

მართალია, „ტორპედომ" მეცამეტე ტურში სამი ქულა გასცა, მაგრამ ბევრი მოიგო. ხომ გაგიგიათ, რასაცა გასცემ შენიაო... სხვისი არ ვიცი, მაგრამ მე ამის მჯერა — თუ „კოლხეთმა" ჩემპიონატის დასკვნით ეტაპზე გააღწია, ფოთში თამაში „ტორპედოს" ყველა კონკურენტს ჯოჯოხეთად გადაექცევა.

**მამუკა ძგანტალიანი**



გორდა — დინამო 0:1. ამირან კედელაშვილი (მარჯვნივ) ბევრს კი ეცადა, მაგრამ არჩილ სახვაძეს ვერაფერი დააკლო




| უმაღლესი ლიგა | სულ | | | | | | | შინ | | | | | | | სტუმრად | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| № გუნდები | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ |
| 1 ტორპედო | 13 | 10 | 2 | 1 | 33:9 | 24 | 32 | 6 | 5 | 1 | 0 | 16:4 | 12 | 16 | 7 | 5 | 1 | 1 | 17:5 | 12 | 16 |
| 2 ლოკომოტივი | 13 | 10 | 1 | 2 | 28:8 | 20 | 31 | 6 | 5 | 1 | 0 | 13:3 | 10 | 16 | 7 | 5 | 0 | 2 | 15:5 | 10 | 15 |
| 3 ბათუმი | 13 | 6 | 4 | 3 | 18:10 | 8 | 22 | 7 | 6 | 0 | 1 | 15:5 | 10 | 18 | 6 | 0 | 4 | 2 | 3:5 | -2 | 4 |
| 4 მერანი | 13 | 7 | 1 | 5 | 23:21 | 2 | 22 | 6 | 5 | 0 | 1 | 15:5 | 10 | 15 | 7 | 2 | 1 | 4 | 8:16 | -8 | 7 |
| 5 დინამო | 13 | 6 | 3 | 4 | 24:11 | 13 | 21 | 6 | 2 | 3 | 1 | 14:5 | 9 | 9 | 7 | 4 | 0 | 3 | 10:6 | 4 | 12 |
| 6 კოლხეთი | 13 | 6 | 3 | 4 | 23:21 | 2 | 21 | 7 | 5 | 1 | 1 | 18:10 | 8 | 16 | 6 | 1 | 2 | 3 | 5:11 | -6 | 5 |
| 7 ვიტ ჯორჯია | 13 | 5 | 4 | 4 | 19:16 | 3 | 19 | 6 | 3 | 3 | 0 | 6:3 | 3 | 12 | 7 | 2 | 1 | 4 | 13:13 | 0 | 7 |
| 8 სიონი | 13 | 4 | 3 | 6 | 9:19 | -10 | 15 | 7 | 4 | 1 | 2 | 9:10 | -1 | 13 | 6 | 0 | 2 | 4 | 0:9 | -9 | 2 |
| 9 გურია | 13 | 1 | 6 | 6 | 10:21 | -11 | 9 | 7 | 0 | 4 | 3 | 3:10 | -7 | 4 | 6 | 1 | 2 | 3 | 7:11 | -4 | 5 |
| 10 სამგურალი | 13 | 2 | 3 | 8 | 9:24 | -15 | 9 | 6 | 2 | 2 | 2 | 7:7 | 0 | 8 | 7 | 0 | 1 | 6 | 2:17 | -15 | 1 |
| 11 გორდა | 13 | 1 | 4 | 8 | 10:25 | -15 | 7 | 7 | 1 | 1 | 5 | 5:14 | -9 | 4 | 6 | 0 | 3 | 3 | 5:11 | -6 | 3 |
| 12 მეტალურგი | 13 | 1 | 4 | 8 | 6:27 | -21 | 7 | 7 | 1 | 2 | 4 | 3:12 | -9 | 5 | 6 | 0 | 2 | 4 | 3:15 | -12 | 2 |

საქართველოს პირველი ლიგა ჩემპიონატი
პირველი ეტაპი
13 ტური

ეროვნული ბიბლიოთეკა

სამტრედია
28 ოქტომბერი
15.50 საათი
ლოკომოტივი
1 000 (ტევადობა 15 000)

### სამტრედია 2:1 მილანი

1:0 კაცაძე (10), 1:1 მეძღოვი (66), 2:1 თოდაძე (86პ)
მსაჯები: ს. კვარაცხელია (ზუგდიდი); გ. დოგრაშვილი (ქუთაისი), დ. კურტანიძე (სურამი); ი. შალამბერიძე (თბილისი)

თბილისი
26 ოქტომბერი
16.00 საათი
ეროვნული
100 (ტევადობა 70 900)

### დინამო 2 0:2 თსუ

0:1 მერებაშვილი (47), 0:2 ჩოხელი (52)
მსაჯები: ი. კახიანი; მ. ურუშაძე, ზ. ჯვარიძე; ა. შილაკაძე (ყველა თბილისი)

ხობი
28 ოქტომბერი
15.30 საათი
ცენტრალური
500 (ტევადობა 8 000)

### ხობი 0:2 ლოკომოტივი 3

0:1 ბერელიძე (40), სურმავა (60)
მსაჯები: ზ. ანიაშვილი (გორი); ო. ხეცაძე, ა. ნონიკაშვილი (ორივე თბილისი); გ. კიკაჩეიშვილი (ქუთაისი)

თბილისი
28 ოქტომბერი
15.45 საათი
სინათლე
100 (ტევადობა 3 000)

### მერანი 2 1:2 ლაზიკა

0:1 ბაკარანძე (30), 1:1 ფურცელაძე (39), 1:2 გამსახურდია (41)
მსაჯები: ა. შილაკაძე; კ. თბილელი, ვ. ელისაბედაშვილი; მ. ელიკაშვილი (ყველა თბილისი)

გორი
28 ოქტომბერი
15.30 საათი
ქართლი
1 000 (ტევადობა 2 000)

### ცხინვალი 3:1 დილა

0:1 ხმალაძე (20), 1:1 ნასუაშვილი (35), 2:1, 3:1 სომხიშვილი (40, 56)
მსაჯები: მ. მაისურაძე (თბილისი); ი. აფციაური (დუშეთი), ზ. ახკარ ოღლი (ქარელი); ლ. რაზმაძე (გორი)

ქობულეთი — თორი 3:0; „თორის" დაგვიანების გამო „ქობულეთს" ჩაეთვალა მოგება.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ქობულეთი | 13 | 9 | 2 | 2 | 17:7 | 29 |
| მილანი | 13 | 8 | 3 | 2 | 29:9 | 27 |
| დილა | 13 | 8 | 2 | 3 | 25:8 | 26 |
| თსუ | 13 | 8 | 2 | 3 | 20:9 | 26 |
| ლოკომოტივი 3 | 13 | 6 | 4 | 3 | 21:15 | 22 |
| ლაზიკა | 13 | 5 | 3 | 5 | 16:22 | 18 |
| ცხინვალი | 12 | 5 | 2 | 5 | 21:17 | 17 |
| დინამო 2 | 13 | 5 | 1 | 7 | 11:15 | 16 |
| ხობი | 13 | 2 | 6 | 5 | 10:16 | 12 |
| სამტრედია | 13 | 3 | 3 | 7 | 12:22 | 12 |
| მერანი 2 | 13 | 2 | 1 | 10 | 7:25 | 7 |
| თორი | 12 | 1 | 1 | 10 | 7:31 | 4 |

## საქართველოს თასი

**მერვედფინალი. პირველი მატჩები. 31 ოქტომბერი**

**თსუ (თბილისი, I) — მეტალურგი (ზესტაფონი)**
მსაჯები: ა. შილაკაძე; ო. ხეცაძე, ა. ნონიკაშვილი; ი. კახიანი (ყველა თბილისი);
სფფ-ის ინსპექტორი: მ. კობიაშვილი

**გორდა (რუსთავი) — ძობულეთი (I)**
მსაჯები: პ. დოგრაშვილი; კ. გაბრიაძე, ნ. რუსიშვილი (სამივე ქუთაისი); ა. გუნთაძე (ლანჩხუთი);
სფფ-ის ინსპექტორი: რ. ჩილაჩავა

**მერანი (თბილისი) — ტორპედო (ქუთაისი)**
მსაჯები: ს. კვარაცხელია (ზუგდიდი); ლ. მიქელაძე, გ. ჩიგოგიძე (ორივე სამტრედია); მ. მაღალურაძე (თბილისი);
სფფ-ის ინსპექტორი: ბ. ქარქაშაძე

**სამგურალი (წყალტუბო) — ვიტ ჯორჯია (თბილისი)**
მსაჯები: ლ. ფანიაშვილი; მ. ელიკაშვილი, ი. შალამბერიძე (სამივე თბილისი); ჯ. ბუიშვილი (ქიათურა);
სფფ-ის ინსპექტორი: ო. გუნთაძე

**გურია (ლანჩხუთი) — მილანი (წნორი, I)**
მსაჯები: ა. ორდინაძე (ონი); კ. თბილელი, ლ. სილაგავა (ორივე თბილისი); ზ. ანიაშვილი (გორი);
სფფ-ის ინსპექტორი: ი. მჭედლიშვილი

**ლოკომოტივი (თბილისი) — დილა (გორი, I)**
მსაჯები: გ. კიკაჩეიშვილი (ქუთაისი); ზ. ხუციშვილი (დმანისი), ი. აფციაური (დუშეთი); ა. მეშკოვი (თბილისი);
სფფ-ის ინსპექტორი: ნ. კაკულია

**დინამო (თბილისი) — სიონი (ბოლნისი)**
მსაჯები: ა. შალამბერიძე (ქუთაისი); ზ. ჯვარიძე, მ. ურუშაძე; ვ. ელისაბედაშვილი (სამივე თბილისი);
სფფ-ის ინსპექტორი: ა. მილჩენკო

**ბათუმი — კოლხეთი (ფოთი)**
მსაჯები: კ. მქსი (ზუგდიდი); ა. სამხარაძე (სოხუმი), გ. ცირდავა (გულრიფში); ლ. კვარაცხელია (ზუგდიდი);
სფფ-ის ინსპექტორი: მ. ლაცაბიძე

*საპასუხო მატჩები 13 ნოემბერს გაიმართება*

# გოოოოლ!

## ფედერაციამ 400 ათასი $ მიიღო

**არცთუ** ისე დიდი დრო გავიდა მას შემდეგ, რაც უეფამ პროგრამა „გოლი" ჩამოაყალიბა. ეს პროგრამა ევროპული ფეხბურთის ერთიან ოჯახში შემავალი ქვეყნების ფედერაციების დახმარებას ითვალისწინებს. უეფა განიხილავს ამა თუ იმ ქვეყნის ფედერაციის მიერ წარმოდგენილ პროექტს და შესაბამის გადაწყვეტილებას იღებს, თუ რა სახის დახმარებაა საჭირო.

შარშან მოსკოვში „გოლის" ეგიდით გამართულ სამუშაო შეხვედრას სფფის პრეზიდენტი მერაბ ჟორდანია და გენერალური მდივანი ვალერი ჩოლარიაც დაესწრნენ. შეგახსენებთ, რომ შარშან აგრარული უნივერსიტეტის ხელმძღვანელთა ხელშეწყობით სფფ-ს უნივერსიტეტის კუთვნილი 4 ჰექტარი ფართობის ტერიტორია გადაეცა 50-წლიანი იჯარით. ფედერაციის მესვეურებმა ეს ადგილი ეროვნული ნაკრების ბაზისთვის შეიგულეს, სათანადო პროექტიც შეიმუშავეს და „გოლის" საშუალებით უეფას საჭირო თანხის გამოყოფა სთხოვეს. მოსკოვში გამართულ სხდომაზე ქართველებს პროექტის განხილვას შეჰპირდნენ.

გუშინწინ კი უეფამ ოფიციალური გადაწყვეტილება მიიღო, სფფ-ის პროექტი დაამტკიცა და საქართველოს ეროვნული ნაკრების ბაზის მშენებლობისთვის ჩვენს ფედერაციას 400 ათასი დოლარი გამოუყო.

ამის შესახებ გუშინ სფფ-ის გენერალურმა მდივანმა ვალერი ჩოლარიამ გვითხრა: „ძალიან გახარებულები ვართ, ჩვენი პროექტი მოიწონეს, 400 ათასი დოლარი ბაზის სრულიად აშენებას ვერ გასწვდება, მაგრამ საქმის დასაწყებად სოლიდური რაოდენობის თანხაა".

**ბაატა ძგანტალიანი**



ალექსანდრე იაშვილი (ბურთით) შვეიცარიაში მოსაგებად მიდის

# უკმაყოფილოს ლოგიკა

## სადაც დორტმუნდი, იქაც...

*მას შემდეგ, რაც საქართველოს ეროვნულ ნაკრებს ხელმეორედ ჩაუდგა სათავეში ალექსანდრე ჩივაძე, გუნდს ახალი ბომბარდირი გამოუჩნდა — ალექსანდრე იაშვილმა ბოლო სამ თამაშში ოთხი გოლი გაიტანა. რაც შეეხება იაშვილის საკლუბო კარიერას, აქ ცოტა სხვაგვარად არის საქმე. ჩვენებურს, ცხადია, კვლავაც მაღალი რეპუტაცია აქვს „ფრაიბურგში", თუმც ის და მისი კლუბიც ჯერჯერობით არასტაბილურად თამაშობენ ბუნდესლიგის მიმდინარე გათამაშებაში.*

*„ფრაიბურგს" ხვალ მორიგი გამოცდა ელის — უეფას თასის მეორე ეტაპის საპასუხო მატჩი შვეიცარიულ „სენტ გალენთან". ალექსანდრე იაშვილს კი ჯერ ბუნდესლიგურ ამბებზე ჩამოვუგდეთ სიტყვა.*

**— „ფრაიბურგი" წლეულს არცთუ დამაჯერებლად თამაშობს — გუნდი ხან უფერულად გამოიყურება, ხან კი ძლიერ მეტოქეს ამარცხებს სტუმრად. რით ახსნით ამას?**

— აბა, რა გითხრათ, სეზონი მართლაც ცუდად დავიწყეთ, მაგრამ ბოლო ორი მატჩი კარგად ჩავატარეთ, უკეთესობისკენ მივდივართ და იმედია, ასეც გავაგრძელებთ. ვთვლი, რომ ბოლო ტურში „გლადბახთან" ფრე ურიგო შედეგი არ ყოფილა.

**— შენი თამაშით კმაყოფილი ხარ ბუნდესლიგის ამ გათამაშებაში?**

— არა, კმაყოფილი ნამდვილად არ ვარ, „გლადბახთანაც" ვერ ვითამაშე კარგად, თუმც რამდენიმე შეხვედრა ნორმალურად ჩავატარე.

**— წინა სეზონში „ფრაიბურგმა" უეფას თასის საგზური რომ მოიპოვა, ბევრმა ეს მოულოდნელობად აღიქვა. „ფრაიბურგმა" პირველ ეტაპზე სლოვაკური „პუხოვის" ბარიერი კი გადალახა, მაგრამ მერე შინ 0:1 დამარცხდა შვეიცარიულ „სენტ გალენთან".**

— იმ მატჩში მეტოქე მთელი გუნდით იცავდა კარს, 90 წუთი დაცვაში იჯდა და ასეთ დროს ძალიან ძნელია თამაში. გოლი კი მეტოქემ მსაჯის მიერ დამატებულ დროში გაგვიტანა, 93-ე წუთზე.

**— ხვალ შვეიცარიაში ესტუმრებით „სენტ გალენს". პირველი წაგებული მატჩის შემდეგ მომდევნო ეტაპზე გასვლის შანსებს როგორ აფასებ?**

— ძნელი თამაში გველის, უნდა შევუტიოთ და გოლი გავიტანოთ, სხვა გზა არ გვრჩება. გამარჯვების იმედი გვაქვს და ამის შანსიც. ამ ცოტა ხნის წინ სტუმრად „დორტმუნდს" მოვუგეთ და „სენტ გალენის" დამარცხება რატომ უნდა იყოს შეუძლებელი?

**დავით თავართქილაძე**

ფირმების რეგისტრაცია
ოფშორული კომპანიები
რუსეთის ვიზები
მისამართი:
„პირიმზე" მეორე სართული
ტელეფონი: 93-52-34, 877 42-20-59

# თემურიც იქ არის...

**თემურ ქეცბაიამ** „დანდიში" პირველად ითამაშა და კომპლიმენტიც არა ერთი მიიღო. თუმცა რა გასაკვირია ინგლისურ პრემიერლიგაში გამობრძმედილი კაცი შოტლანდიაში გამოირჩეს. „დანდიმ" კი, რომელშიც უკვე სამი ქართველი ირიცხება, წარუმატებელი მატჩების სერია შეწყვიტა და არცთუ ხელწამოსაკრავ „ჰიბერნიანს" სტუმრად მოუგო. ზურაბ ხიზანიშვილმა, რომელიც „დანდის" სექტემბრის საუკეთესო ფეხბურთელად დაასახელეს, მთელი მატჩი ითამაშა, ხოლო გიორგი ნემსაძე მოგეხსენებათ, დაშავებულია და მინდორზეც ამად არ გამოჩენილა.

უკრაინაში თასის მერვედფინალის საპასუხო შეხვედრები გაიმართა. სიმფეროპოლის „ტავრიამ" ლვოვის „კარპატის" 3:1 მოუგო თუმცა შემდგომ წრეში მაინც ვერ გავიდა. მასპინძელთაგან საუკეთესო ვასილ გიგიაძე იყო. ორი გოლი ხომ გაიტანა (ერთი პენალტით) და პირველშიც, რომელიც ზაბრანსკიმ შეაგდო, უშუალო მონაწილეობა მიიღო. კარგად ითამაშა ლევან მიქაძის ცსკა-მაც, „კრივბასს" 4:0 სძლია და მეოთხედფინალში გავიდა.

ლატვიაში „ქართული დერბი" გაიმართა. თამაზ პერტიას „რიგამ" შინ ხუთი ქართველის „სკონტოსთან" 0:5 წააგო. დავით ჩალაძემ ისევ ისახელა თავი, სამი გოლი გაიტანა და ჯამში 19 ბურთი მოუგროვდა. [illegible] მიხოლაპსს (23), [illegible] „კატასონოვს" (21) და [illegible] ინს (20) აქვთ გატანილი. თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ დათოს შემოდგომაზე გოლი გოლზე გააქვს, ეგებ მალე ბომბარდირთა სათავეშიც მოექცეს.

რუსეთში ზედიზედ მეექვსედ ქვეყნის ჩემპიონი გახდა კახა მჟავანაძისა და დავით ქოქიაშვილის „სპარტაკი", თუმცა ძირითად გუნდში ჩვენებურებმა ჯერ ფეხი ვერ მოიკიდეს.

**სოლომონ გულისაშვილი**

| სახელი გვარი | გუნდი | სად | მეტოქე | წთ | შენიშვნა | თ | გ | ა |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| **გერმანია. ბუნდესლიგა** | | | | | | | | |
| ალექსანდრე იაშვილი | ფრაიბურგი | ს | გლადბახი 2:2 | 61 | საგოლე პასი, შეცვალეს | 11 | 2 | 10 |
| ლევან კობიაშვილი | ფრაიბურგი | ს | გლადბახი 2:2 | 90 | გააფრთხილეს | 11 | 2 | 10 |
| ლევან ცქიტიშვილი | ფრაიბურგი | ს | გლადბახი 2:2 | 0 | ტრავმირებულია | 8 | 0 | 10 |
| გიორგი კიკნაძე | ფრაიბურგი | ს | გლადბახი 2:2 | 0 | ტრავმირებულია | 0 | 0 | 10 |
| ზაზა ზამთარაძე | ფრაიბურგი | ს | გლადბახი 2:2 | 0 | სარეზერვო გუნდშია | 0 | 0 | 10 |
| არჩილ არველაძე | კიოლნი | შ | ბაიერნი 0:2 | 0 | ტრავმირებულია | 3 | 0 | 16 |
| **გერმანია. მეორე ბუნდესლიგა** | | | | | | | | |
| გიორგი დეკანოსიძე | ფიურტი | ს | კარლსრუე 2:4 | 0 | განაცხადში ვერ მოხვდა | 0 | 0 | 7 |
| **ინგლისი. პრემიერლიგა** | | | | | | | | |
| გიორგი ქინქლაძე | დერბი | შ | ჩელსი 1:1 | 0 | | 7 | 0 | 18 |
| რატი ალექსიძე | ჩელსი | ს | დერბი 1:1 | 0 | | 0 | 0 | 8 |
| **შოტლანდია. პრემიერლიგა** | | | | | | | | |
| გიორგი ნემსაძე | დანდი | ს | ჰიბერნიანი 2:1 | 0 | ტრავმირებულია | 8 | 1 | 8 |
| ზურაბ ხიზანიშვილი | დანდი | ს | ჰიბერნიანი 2:1 | 90 | | 11 | 0 | 8 |
| თემურ ქეცბაია | დანდი | ს | ჰიბერნიანი 2:1 | 65 | შეცვალეს | 1 | 0 | 8 |
| შოთა არველაძე | რეინჯერსი | ს | ლივინგსტონი 2:0 | 90 | | 3 | 2 | 2 |
| **იტალია. სერია A** | | | | | | | | |
| კახა კალაძე | მილანი | შ | ბოლონია 0:0 | 90 | | 8 | 1 | 3 |
| **იტალია. სერია B** | | | | | | | | |
| დავით დიღმელაშვილი | სიენა | ს | კოზენცა 1:2 | 0 | სათადარიგო | 1 | 0 | 19 |
| ლევან მელქაძე | სიენა | ს | კოზენცა 1:2 | 0 | განაცხადში ვერ მოხვდა | 0 | 0 | 19 |
| **ესპანეთი. პრიმერა დივიზიონი** | | | | | | | | |
| გიორგი დემეტრაძე | სოსიედადი | ს | ტენერიფე 1:0 | 0 | | 6 | 1 | 18 |
| **ჰოლანდია. უმაღლესი ლიგა** | | | | | | | | |
| გოგა გახოკიძე | პსვ ეინდჰოვენი | შ | ვალვაიკი 2:0 | 0 | სათადარიგო | 6 | 0 | 5 |
| **ბელგია. უმაღლესი დივიზიონი** | | | | | | | | |
| გელა შეყილაძე | ლიერსი | ს | ლომელი 2:2 | 0 | სათადარიგო | 6 | 0 | 11 |
| მამუკა წერეთელი | ლიერსი | ს | ლომელი 2:2 | 0 | განაცხადში ვერ მოხვდა | 2 | 0 | 11 |
| **შვეიცარია. უმაღლესი დივიზიონი** | | | | | | | | |
| გოჩა ჯამარაული | ციურიხი | შ | აარაუ 1:0 | 83 | შეცვალეს | 12 | 1 | 8 |
| მიხეილ ყაველაშვილი | ციურიხი | შ | აარაუ 1:0 | 0 | განაცხადში ვერ მოხვდა | 13 | 9 | 8 |
| ლევან ხომერიკი | აარაუ | ს | ციურიხი 0:1 | 0 | განაცხადში ვერ მოხვდა | 0 | 0 | 9 |
| **დანია. უმაღლესი ლიგა** | | | | | | | | |
| მიხეილ აშვეთია | კოპენჰაგენი | შ | მიდტიულანდი 1:1 | 70 | შეცვალეს | 3 | 0 | 3 |
| **რუსეთი. უმაღლესი ლიგა** | | | | | | | | |
| ზაზა ჯანაშია | ლოკომოტივი | ს | როტორი 3:1 | 0 | სათადარიგო | 20 | 2 | 3 |
| ვლადიმერ კაკაშვილი | ლოკომოტივი | ს | როტორი 3:1 | 0 | სარეზერვო გუნდშია | 0 | 0 | 3 |
| ოთარ ხიზანეიშვილი | როსტსელმაში | შ | ანჟი 3:2 | 0 | სარეზერვო გუნდშია | 4 | 0 | 12 |
| დავით ხმელიძე | როსტსელმაში | შ | ანჟი 3:2 | 90 | | 2 | -4 | 12 |
| კახა მჟავანაძე | სპარტაკი | შ | ზენიტი 3:1 | 0 | სათადარიგო | 3 | 0 | 1 |
| დავით ქოქიაშვილი | სპარტაკი | შ | ზენიტი 3:1 | 0 | | 0 | 0 | 1 |
| პაატა ჯინჭარაძე | სოკოლი | ს | ჩერნომორეცი 3:1 | 0 | | 0 | 0 | 8 |
| ედიკ საჯაია | ტორპედო | ს | სატურნი 1:0 | 0 | სათადარიგო | 3 | 0 | 4 |
| **რუსეთი. პირველი ლიგა** | | | | | | | | |
| ზვიად ჯელაძე | ბალტიკა | ს | გაზოვიკი 0:2 | 90 | გააფრთხილეს | 11 | 1 | 17 |
| გიზო ჯელაძე | ბალტიკა | ს | გაზოვიკი 0:2 | 90 | | 24 | 0 | 17 |
| თენგიზ სიჭინავა | ბალტიკა | ს | გაზოვიკი 0:2 | 58 | შეცვალეს | 10 | 1 | 17 |
| თეიმურაზ გადელია | კრისტალი | შ | ვოლგარი 1:0 | 63 | 1 გოლი პ.ნ, შეცვალეს | 24 | 8 | 8 |
| იური გაბისკირია | სპარტაკი | შ | ყუბანი 0:0 | 0 | | 13 | 0 | 5 |
| ნიკოლოზ ტოგონიძე | ტომი | ს | ლადა 0:1 | 0 | | 2 | -2 | 7 |
| **უკრაინა. თასის მერვედფინალი. საპასუხო მატჩები** | | | | | | | | |
| გოჩა ტრაპაიძე | ტავრია | შ | კარპატი 3:1 | 82 | შეცვალეს | 2 | 0 | |
| ვასილ გიგიაძე | ტავრია | შ | კარპატი 3:1 | 90 | 2 გოლი | 2 | 2 | |
| სოსო გიგიაძე | ტავრია | შ | კარპატი 3:1 | 0 | | 0 | 0 | |
| შოთა ჩომახიძე | ტავრია | შ | კარპატი 3:1 | 90 | | 2 | 0 | |
| ლევან მიქაძე | ცსკა | შ | კრივბასი 4:0 | 90 | | 2 | 0 | |
| **პოლონეთი. უმაღლესი ლიგა** | | | | | | | | |
| მამია ჯიქია | რუხი | ს | შლიონსკი 0:1 | 90 | გააფრთხილეს | 13 | 0 | 4 |
| **უნგრეთი. უმაღლესი ლიგა** | | | | | | | | |
| კახაბერ ჩხეტიანი | დებრეცენი | შ | დუნაფერი 2:2 | 89 | შეცვალეს | 10 | 0 | 7 |
| **ბულგარეთი. უმაღლესი ლიგა** | | | | | | | | |
| ამირან მუჯირი | მარეკი | ს | ლიტექსი 0:2 | 0 | | 6 | 0 | 11 |
| **კვიპროსი. უმაღლესი ლიგა** | | | | | | | | |
| ლევან ქებაძე | პარალიმნი | ს | ოლიმპიაკოსი 2:2 | 0 | | 2 | 1 | 9 |
| ლევან მაღრაძე | პაფოსი | ს | ომონია 0:1 | 90 | | 6 | 1 | 12 |
| გიორგი ქორიძე | არადიპუ | ს | აპოლონი 1:8 | 90 | 1 გოლი | 6 | 3 | 14 |
| გურამ ასპინძელაშვილი | არადიპუ | ს | აპოლონი 1:8 | 90 | | 5 | 0 | 14 |
| **ლატვია. უმაღლესი ლიგა** | | | | | | | | |
| ალექსანდრე რეხვიაშვილი | სკონტო | ს | რიგა 5:0 | 45 | შეცვალეს | 15 | 1 | 2 |
| ზურაბ მენთეშაშვილი | სკონტო | ს | რიგა 5:0 | 0 | | 17 | 2 | 2 |
| დავით ჩალაძე | სკონტო | ს | რიგა 5:0 | 63 | 3 გოლი, შეცვალეს | 21 | 19 | 2 |
| ლევან კორღალიძე | სკონტო | ს | რიგა 5:0 | 27 | შეცვლაზე ითამაშა | 23 | 5 | 2 |
| გივი კვარაცხელია | სკონტო | ს | რიგა 5:0 | 90 | 1 გოლი | 7 | 1 | 2 |
| თამაზ პერტია | რიგა | შ | სკონტო 0:5 | 21 | შეცვალეს | 12 | 1 | 7 |
| **აზერბაიჯანი. უმაღლესი ლიგა** | | | | | | | | |
| გია კილასონია | ნეფთჩი | ს | თურანი 0:1 | 90 | | 9 | 1 | 2 |
| კახაბერ ძებისაშვილი | ხაზარი | ს | არაზი 0:1 | 23 | შეცვლაზე ითამაშა | 6 | 1 | 9 |

*შენიშვნა: შ — შინ, ს — სტუმრად, თ — თამაში, გ — გოლი, ა — გუნდის ადგილი ლიგაში*

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ჩემპიონთა ლიგა VI ტური. დღეს

## E ჯგუფი

### სელტიკი — იუვენტუსი

### პორტუ — რუსენბორგი



ჰენრიკ ლარსონი

**დღევანდელი** გლაზგოური მატჩი მასპინძელი „სელტიკისთვის" უფრო პრინციპულია, ვიდრე მისი მეტოქე „იუვენტუსისთვის". ამის თქმის საფუძველს სატურნირო ვითარება გვაძლევს. ტურინელები უკვე გასულნი არიან მეორე ჯგუფურ ეტაპზე, ხოლო შოტლანდიელებმა ამისთვის ჯერ უნდა იბრძოლონ და თან ჯგუფის მეორე მატჩის შედეგს დაელოდონ.

ზემოთ თქმულს ისიც ადასტურებს, რომ სავარაუდო შემადგენლობაში „იუვენტუსს" რამდენიმე წამყვანი მოთამაშე აკლია. თუ „ბებერი ქალბატონის" მწვრთნელმა მარჩელო ლიპიმ ბოლო მომენტში გადაწყვეტილება არ შეცვალა, დავიდ ტრეზეგემ, ლილიან ტურამმა, ჯანლუკა ძამბროტამ, იგორ ტუდორმა და ძირითადმა მეკარე ჯანლუიჯი ბუფონმა უნდა დაისვენონ. ახლახან ალესანდრო დელ პიეროს ჯანმრთელობა გამოიკვლიეს ექიმებმა და დაასკვნეს, თამაშს შეძლებსო. ახლა მხოლოდ მწვრთნელის გადასაწყვეტია, შეუშვებს თუ არა თავდამსხმელს მინდორზე.

ლიპი თავდასხმაში, ალბათ, თავიდანვე გაამწესებს ნიკოლა ამორუზოს, რომელმაც მკურნალობის კურსი წარმატებით ჩაამთავრა. ბუფონის ნაცვლად კი კარში ფაბიან კარინის ვიხილავთ.

„სელტიკის" მწვრთნელის, მარტინ ონილის მთავარი თავსატეხიც სწორედ მეკარეა. კარის ძირითადმა დარაჯმა რობერტ დუგლასმა ტრავმა მიიღო და დიდი შანსია, დროულად ვერ გამოჯანმრთელდეს. თუ მართლაც ასე იქნა, მინდორზე დმიტრი ხარინი გავა. კისრის მცირე ტრავმა აწუხებს სტილიან პეტროვს, თუმცა იგი ითამაშებს. ბოლომდე ჯანმრთელი ვერც ჰოლანდიელი ბობ პეტაა, მაგრამ სასტარტოში, ალბათ, ისიც იქნება.

გუნდს დაუბრუნდება მთავარი მეგოლე ჰენრიკ ლარსონი, რომელმაც შოტლანდიის ჩემპიონატის წინა ტური ტრავმის გამო გამოტოვა. მას თავდასხმაში პარტნიორობას კრის სატონი გაუწევს.

„პორტუ" — „რუსენბორგის" წყვილშიც გვარიანი ინტრიგაა, რადგან ჯგუფიდან გასვლის შანსს ორივე გუნდი ინარჩუნებს.

ტრონდჰეიმელთა ლაზარეთიდან ასეთი ამბებია: მცველი იანი საარინენი ტრავმირებულია და თან გრიპი შეჰყრია, დაშავებულია თავდამსხმელი სიგურდ რუშფელდტიც.

„პორტუში" კი, დებიუტი ექნება მეკარე პაულუ სანტუშს, მან რუსი სერგეი ოვჩინიკოვი უნდა შეცვალოს. სავარაუდოდ, ვერც მცველი სეკრეტარიუ ითამაშებს, ხოლო თავდამსხმელი ნელსონ კოშტინია დისკვალიფიცირებულია. აი, პორტუგალიის ნაკრების მცველი ჟორჟე კოშტა კი მწვრთნელთან კონფლიქტის გამო ვერ გავა მინდორზე.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| იუვენტუსი | 5 | 3 | 2 | 0 | 8:4 | 11 |
| პორტუ | 5 | 2 | 1 | 2 | 6:5 | 7 |
| სელტიკი | 5 | 2 | 0 | 3 | 4:8 | 6 |
| რუსენბორგი | 5 | 1 | 1 | 3 | 4:5 | 4 |

## F ჯგუფი

### ლევერკუზენი — ლიონი

### ბარსელონა — ფენერბაჰჩე




სავიოლას და რივალდოს „ფენერბაჰჩეზე" ძლიერებიც გაუმწარებიათ

**ბარსელონელი** ხერარდი ირწმუნება, „ფენერბაჰჩესთან" მატჩს ჩემთვის და საერთოდ, გუნდისთვის დიდი მნიშვნელობა აქვსო. დღეს „ბარსას" სასტარტო შემადგენლობაში შეიძლება რაიციგერი, კოკო, როჩემბაკი, ჯოვანი და გამოჯანმრთელებული მარკ ოვერმარსი ვიხილოთ. „ფენერს" რივალდო-სავიოლას დუეტი შეუტევს და, ალბათ, გოლის გატანაც არ უნდა გაუჭირდეს.

მომავალ კვირას „ბარსელონას" „რეალთან" მატჩი ელის. არ ვიცით, „ფენერბაჰჩესთან" პაექრობა მადრიდული შეხვედრის წინ როგორი რეპეტიცია იქნება, მაგრამ ზედმეტი მოგება კარლოს რექსაჩის გუნდს, ალბათ, არ აწყენს.

თურქებს ერთადერთი მეგოლე ჰაიმ რევივო ოთხი თვით გამოაკლდათ. მან ისრაელ — ავსტრიის მატჩის დროს ტრავმა მიიღო. თუ სტუმრები დამარცხდებიან, თავისებურ რეკორდს დაამყარებენ და ლიგაში ერთადერთ უქულო გუნდად დარჩებიან.

ძირითადი შემადგენლობის ფეხბურთელების დასვენებას აპირებს კლაუს ტოპმიოლერიც. ულფ კირსტენი, ილდირეი ბაშთურქი და მიხაელ ბალაკი სასტარტოში არ იქნებიან. მათ ადგილებს ლუსიო, ოჯიგვე და ზე რობერტო დაიკავებენ.

განაღდებული მესამე ადგილი აქვს „ლიონს". შესაძლოა, ფრანგთა მწვრთნელმა ჟაკ სანტინიმ თავის გამოჩენის საშუალება მისცეს ახალგაზრდა ფეხბურთელებს — 19 წლის რომან სასტრს და 22 წლის ფლორიან ბალმონტს. ეს უკანასკნელი აცხადებს, რომ ჩემპიონთა ლიგაში ათი წუთიც რომ ითამაშოს, მისთვის დიდი ბედნიერება იქნება.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბარსელონა | 5 | 4 | 0 | 1 | 11:5 | 12 |
| ლევერკუზენი | 5 | 4 | 0 | 1 | 8:5 | 12 |
| ლიონი | 5 | 2 | 0 | 3 | 6:7 | 6 |
| ფენერბაჰჩე | 5 | 0 | 0 | 5 | 3:11 | 0 |

## G ჯგუფი

### ლილი — მანჩესტერი

### ოლიმპიაკოსი — დეპორტივო




„მანჩესტერის" შეტევაში ენდი კოული (მარცხნივ) და ოლე გუნარ სოლსკიაერი ფეხბურთელი

**„მანჩესტერ იუნაიტედმა"** და „დეპორტივომ" ჩემპიონთა ლიგის პირველ ჯგუფურ ეტაპზე თავისი საქმე წინა ტურში მოითავეს და ახლა ფრანგულ „ლილსა" და ბერძნულ „ოლიმპიაკოსს" დაეხმარებიან ან შეუშლიან უეფას თასზე გადაბარგებას.

„ლილი" ინგლისელებს თავდამსხმელ დაგუ ბაკარის გარეშე დაუხვდება, რომელმაც მტკივანი კუნთი ვერა და ვერ მოირჩინა. სამაგიეროდ, გუნდშია პასკალ სიგანი, რომელმაც წინა ტურში „დეპორტივოსთან" თამაშზე უარი თქვა. აქვე აღვნიშნოთ, რომ პირეოსელთა წაბორძიკების შემთხვევაში ლილელებს შეუძლიათ მშვიდად იყვნენ.

ფრანგთა მეტოქის მწვრთნელმა სერ ალექს ფერგიუსონმა კი შინ დატოვა როი კინი, გარი ნევილი, უესლი ბრაუნი, რაიან გიგზი, ფაბიენ ბარტეზი, რუუდ ვან ნისტელროი და ხუან სებასტიან ვერონი. ვინლა დარჩნენ? „მანჩესტერის" სასტარტო შემადგენლობა, სავარაუდოდ ასეთი იქნება: როი კეროლი, ფილ ნევილი, ლორან ბლანი, დევიდ მეი, დენის ირვინი, ლუკ ჩედვიკი, ნიკი ბათი, პოლ სქოულზი, კვინტონ ფორჩუნი, ენდი კოული, ოლე გუნარ სოლსკიაერი.

„ოლიმპიაკოსი" სტელიოს ვენეტიდისის, ზე ელიასისა და ლამბროს ხუტოსის გარეშე დაუხვდება „დეპორტივოს", ამათ ტრავმები აწუხებთ. დაშავებულია პრედრაგ ჯორჯევიჩიც, თუმც მან შესაძლოა მაინც შეძლოს თამაში. აი, თავდამსხმელ ჯოვანის კი დისკვალიფიკაციის გამო მოუწევს დასვენება.

ლაკორუნიელებს, ალბათ, დააკლდებათ ხუან კარლოს ვალერონი, რაც ჯალმინიას მინდორზე გასვლის შანსს აძლევს. ბრაზილიელი გამთამაშებლის გალისიურ პრობლემებზე კი დღევანდელ „სარბიელში" ცალკე წერილი შეგიძლიათ წაიკითხოთ.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მანჩესტერი | 5 | 3 | 0 | 2 | 9:5 | 9 |
| დეპორტივო | 5 | 2 | 3 | 0 | 9:7 | 9 |
| ლილი | 5 | 1 | 2 | 2 | 6:6 | 5 |
| ოლიმპიაკოსი | 5 | 1 | 1 | 3 | 5:11 | 4 |

## H ჯგუფი

### სპარტა — ბაიერნი

### ფეიენოორდი — სპარტაკი

**„სპარტას"** და „ბაიერნს" თავი ქუდში აქვთ, მეორე ეტაპზე უკვე გასულები არიან და დღეს პრაღაში მხოლოდ პრესტიჟისა და ცოტა ფულისთვის გააგორებენ ბურთს. ამიტომაც ბავარიელები ოლივერ კანს დაასვენებენ და კარში შტეფან ვესელსს ჩააყენებენ. მასპინძლებს კი დაშავებული ნახევარმცველი ირჟი იაროშიკი და თავდამსხმელი ლუკაშ ჰარტიგი არ ეყოლებათ.

როტერდამში კი პრინციპული მატჩია. მესამეადგილოსანი უეფას თასზე გადაინაცვლებს და ამ ადგილის დაკავების უკეთესი შანსი „ფეიენოორდს" აქვს: „მთავარია არ მოვდუნდეთ. ჩვენ ხომ 0:0 და 1:1-იც გვაწყობს. მეორე მხრივ, რუსული გუნდები ჩინებულად თამაშობენ კონტრშეტევებზე და ეს ახლახან „ლოკომოტივმაც" დაამტკიცა ბრიუსელში. „ლოკომოტივზე" ძლიერი კი „სპარტაკია", ის ხომ ქვეყნის ჩემპიონია" — თქვა „ფეიენოორდის" მწვრთნელმა ვან მარვიიკმა შაბათს „უტრეხტთან" 4:0 გამარჯვების მერე.

მასპინძლებს ძირითადის რამდენიმე ფეხბურთელი დააკლდებათ. დისკვალიფიცირებულია პიერ ვან ჰოიდონკი, ვინც „უტრეხტთან" ჰეთ-თრიქი შეასრულა, დაშავებულნი არიან დანიელი შემტევი იონ დალ ტომასონი და მცველი კის ვან ვონდერენი. მწვრთნელის განცხადებით, ვან ვონდერენი როტერდამელთათვის დიდი დანაკლისია, რადგან ის ხშირად ერთვება შეტევებში და კარგად ასრულებს სტანდარტულ მდგომარეობებს.

„სპარტაკს" „ზენიტთან" საჩემპიონო მატჩის შემდეგ დიდ ხანს არ უზეიმია. მეორე დღესვე ტარასოვკის ბაზაზე შეიკრიბა და საფეიენოორდოდ მზადება დაიწყო: „ლიგის ნებისმიერი შეხვედრა პრესტიჟის ამბავია. ამას ქვეყნის რეიტინგი და პრემიალურებიც დაამატეთ და ყველაფერი ნათელი იქნება" — ამბობს მოსკოველთა ნახევარმცველი ედუარდ ციხმეისტრუკი. სტუმრებმა ჰოლანდიაში არ წაიყვანეს დისკვალიფიცირებული ანანკო, ასევე დაშავებული ჩუისე და ბეზროდნი.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სპარტა | 5 | 3 | 2 | 0 | 10:2 | 11 |
| ბაიერნი | 5 | 3 | 2 | 0 | 13:5 | 11 |
| სპარტაკი | 5 | 0 | 2 | 3 | 6:14 | 2 |
| ფეიენოორდი | 5 | 0 | 2 | 3 | 5:13 | 2 |



დასვენება ოლივერ კანსაც სჭირდება

# იზეტი შამპანურის საცობია
## ლესტერიდან ლიდსში ავარდება



REUTERS ბლუმბერგის ფოტო

ლესტერელი მაზი იზეტი ამ ჯარიმიდან ვერაფერს გამორჩა

### ინგლისი
#### პრემიერლიგა. XI ტური
**ბლექბერნი 0:0 ლესტერი**

**ბლექბერნი:** ფრიდელი, ნაილი, ბერგი, იოჰანსონი, ბიორნებიუ (ჰინეტი 69), ჯონსონი (გილესპი 64), თუგაი, დანი, ფლიტკროფტი, იანსენი, გრაბი (ბენტი 39)
**მწვრთნელი:** გრემ სუნესი
**ლესტერი:** უოქერი, მარშალი, ელიოტი, სინკლერი, დევიდსონი, სევიჯი, უაიზი, იზეტი, იმპი, აკინბაი, ბენჯამინი (სკოუკროფტი 69)
**მწვრთნელი:** დეივ ბასეტი
**გაფრთხილება:** ფლიტკროფტი, თუგაი, ნაილი, ბიორნებიუ, ჯონსონი, ჰინეტი, სევიჯი, უაიზი
**მსაჯი:** სტაილზი
**21 873 მაყურებელი**

**ტურის** ბოლო შეხვედრა ბლექბერნში გაიმართა ორშაბათ საღამოს. იქაურმა „როვერსმა" „ივუდ პარკზე" აუტსაიდერი „ლესტერი" მიიღო.

„ბლექბერნი", რომელმაც ბოლო საშინაო შეხვედრა 7:1 მოუგო „ვესტ ჰემს", ამ ჯერზეც უცილობელ გამარჯვებას გეგმავდა, თუმცა „ლესტერის" ახალბედა მწვრთნელ, დეივ ბასეტს ერთგვარი სიხარული მაინც ეწვია, ჩემპიონატის 11 თამაშში მისმა გუნდმა პირველად არ გაუშვა გოლი. 0:0-ზე დასრულებულ შეხვედრაში ლესტერელებს დაწინაურებაც კი შეეძლოთ, როცა მასპინძელთა მცველმა სტიგ-ინგე ბიორნებიუმ მეკარეს უხერხულად დაუბრუნა ბურთი და ამ ორს შორის ადე აკინბაი აღმოჩნდა.

თუმცა, დათარსულმა აკინბაიმ, რომელსაც 14 აპრილის შემდეგ პრემიერლიგაში გოლი არ გაუტანია, კვლავ ვერ გამოიყენა შანსი და „ლესტერი" კვლავ ბოლო ადგილზე დარჩა.

შანსები მასპინძლებსაც ჰქონდათ, მაგალითად, დევიდ დანს და მეტ ჯონსონს.

მეორე ტაიმში მსაჯ რობ სტაილზს ეგებ პენალტიც უნდა დაენიშნა ლესტერელ მაზი იზეტის წაქცევისათვის. თავად იზეტი კი იქნებ ბოლო მატჩსაც კი ატარებს „მელიების" შემადგენლობაში, რახან მის სახელზე გვარიანი სატრანსფერო შეთავაზებაა მოსული ლიდსიდან.

**ირაკლი ბამყრელიძე**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ასტონ ვილა | 10 | 6 | 3 | 1 | 17:8 | 21 |
| ლიდსი | 10 | 5 | 5 | 0 | 13:4 | 20 |
| არსენალი | 10 | 5 | 4 | 1 | 22:9 | 19 |
| ლივერპული | 9 | 6 | 1 | 2 | 17:9 | 19 |
| მანჩესტერი | 10 | 5 | 3 | 2 | 27:17 | 18 |
| ნიუკასლი | 10 | 5 | 2 | 3 | 18:14 | 17 |
| ტოტენჰემი | 11 | 5 | 2 | 4 | 18:15 | 17 |
| ჩელსი | 10 | 3 | 6 | 1 | 14:10 | 15 |
| ბოლტონი | 11 | 4 | 3 | 4 | 14:14 | 15 |
| ბლექბერნი | 11 | 3 | 5 | 3 | 18:14 | 14 |
| ევერტონი | 10 | 4 | 2 | 4 | 16:15 | 14 |
| ვესტ ჰემი | 10 | 4 | 2 | 4 | 12:19 | 14 |
| სანდერლენდი | 11 | 3 | 4 | 4 | 10:13 | 13 |
| ფულემი | 10 | 2 | 5 | 3 | 10:12 | 11 |
| მიდლსბრო | 11 | 3 | 2 | 6 | 11:19 | 11 |
| ჩარლტონი | 10 | 2 | 4 | 4 | 8:11 | 10 |
| იფსვიჩი | 11 | 1 | 5 | 5 | 12:18 | 8 |
| დერბი ქაუნთი | 10 | 1 | 4 | 5 | 8:17 | 7 |
| საუთჰემპტონი | 10 | 2 | 1 | 7 | 9:19 | 7 |
| ლესტერი | 11 | 1 | 3 | 7 | 6:23 | 6 |

# მე შენ გიჩვენებ...
## ფაბრიციო რავანელის ლექსიკონში 150 000 სალანძღავი სიტყვაა



ფაბრიციო რავანელი და მარსელ დესაი

**კვირას** პრემიერლიგაში „დერბი" — „ჩელსის" მატჩის დასრულების მერე მასპინძლები გასახდელში რომ გაუჩინარდნენ, ფაბრიციო რავანელი მათ არ შეჰყვა, იქვე გვირაბთან იდგა და მოთმინებით ელოდა. ვის ელოდა? მეტოქე გუნდის იმ ფეხბურთელს, რომელმაც მატჩის დროს მას სახეში გაარტყა — მარსელ დესაიზე მოგახსენებთ. ამ გარტყმას ის მოჰყვა, რომ ჭაღარა იტალიელი მსაჯს მიეჭრა, ხომ ხედავ, რა ჩაიდინა, გააძევეო, მაგრამ თავად გამორჩა ყვითელ ბარათს, აქაოდა ვის რას ავუფრიალებ, შენი საქმე არ არისო.

მოკლედ, რავანელი იდგა გვირაბთან და ელოდა. დესაი კი ამ დროს ლონდონიდან ჩასულ ქომაგთათვის განკუთვნილ ტრიბუნასთან მისულიყო და მხარდაჭერისთვის მადლობას იხდიდა.

როგორც იქნა, ფრანგმა მცველმა გვირაბისკენ გაუხვია. იქ ჩასაფრებული რავანელი რომ დაინახა, მიხვდა, რაშიც იყო საქმე და როგორც ჭკვიან კაცს შეჰფერის, მუშტებით კი არ გაიწია, სიცილი და მანჭვა-გრეხა დაიწყო, რითაც ფიცხი იტალიელი კიდევ უფრო გაახელა. რაღა გავაგრძელოთ და გაწევ-გამოწევა გარტყმის გარეშე დასრულდა, რაკიღა მოჩხუბართა შორის ყოჩაღი პოლიციელები ჩადგნენ.

ახლა მოსალოდნელია, რომ მომხდარი ინგლისის ფეხბურთის ასოციაციაში გაირჩევა და ჭაღარა და შავი იქ გამოჩნდება.

იქამდე კი მოჩხუბართა სიტყვიერი დუელი გრძელდება. ფაბრიციო რავანელი: „რაა? მე უნდა მოვუხადო ბოდიში? ნახეთ იმ მატჩის ჩანაწერი და მიხვდებით, ვის აქვს საბოდიშოდ საქმე. და საერთოდ, აღარ მსურს ამაზე ლაპარაკი".

მარსელ დესაი: „ჩემსა და რავანელის შორის თამაშის დროს და მის მერეც რაღაც შეხლა-შემოხლა მოხდა, თუმცა მისი საქციელი სრულიად გაუგებარია. ვერ გამიგია, საიდან დაუგროვდა ამდენი ბოღმა. ეგებ იქიდან, რომ იტალიის ნაკრებში აღარ იწვევენ? ან იქიდან, რომ ევროპის ჩემპიონატის ფინალში საფრანგეთმა იტალიას მოუგო? არ ვიცი და არც მაინტერესებს. მთავარია, რომ მან შეურაცხყოფა მომაყენა და განა ერთხელ — მატჩის განმავლობაში 150 ათასი სალანძღავი სიტყვა მითხრა. დეტალებზე არ ვილაპარაკებ, მაგრამ ჩემს მოთმინებასაც ხომ აქვს საზღვარი. არადა, ყველამ იცის, ძალიან მშვიდი პიროვნება ვარ, ჰოდა, ვუპასუხე".

**ირაკლი ნინიძე**

### გერმანია
#### II ბუნდესლიგა. XI ტური
**ჰანოვერი 2:0 ვალდჰოფი**

1:0, 2:0 შტენდელი (60, 79)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მაინცი | 11 | 9 | 1 | 1 | 27:10 | 28 |
| ჰანოვერი | 11 | 7 | 4 | 0 | 31:9 | 25 |
| არმინია | 11 | 7 | 1 | 3 | 23:11 | 22 |
| აინტრახტი | 11 | 6 | 3 | 2 | 19:12 | 21 |
| ბოხუმი | 11 | 5 | 4 | 2 | 24:19 | 19 |
| ალენი | 11 | 6 | 1 | 4 | 22:27 | 19 |
| ფიურტი | 11 | 5 | 3 | 3 | 17:12 | 18 |
| უნიონი | 11 | 5 | 2 | 4 | 24:16 | 17 |
| უნტერჰახინგი | 11 | 5 | 2 | 4 | 14:12 | 17 |
| კარლსრუე | 11 | 5 | 1 | 5 | 15:18 | 16 |
| ალემანია | 11 | 3 | 3 | 5 | 11:17 | 12 |
| შვაინფურტი | 11 | 3 | 3 | 5 | 8:15 | 12 |
| როიტლინგენი | 11 | 3 | 2 | 6 | 18:23 | 11 |
| ბაბელსბერგი | 11 | 3 | 2 | 6 | 13:24 | 11 |
| ვალდჰოფი | 11 | 2 | 3 | 6 | 11:20 | 9 |
| დუისბურგი | 11 | 1 | 5 | 5 | 11:20 | 8 |
| ობერჰაუზენი | 11 | 1 | 2 | 8 | 12:23 | 5 |
| ზაარბრიუკენი | 11 | 1 | 2 | 8 | 9:21 | 5 |

### იტალია
#### სერია B. X ტური
**პალერმო 3:0 ტერნანა**

1:0 ლაგროტერია (16), 2:0 გვიდონი (19), 3:0 ბომბარდინი (78)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მოდენა | 9 | 6 | 3 | 0 | 21:4 | 21 |
| რეჯინა | 9 | 5 | 3 | 1 | 11:3 | 18 |
| ჯენოა | 9 | 5 | 2 | 2 | 12:5 | 17 |
| ემპოლი | 9 | 5 | 2 | 2 | 15:9 | 17 |
| კომო | 9 | 5 | 1 | 3 | 12:12 | 16 |
| ანკონა | 9 | 4 | 3 | 2 | 7:5 | 15 |
| ვიჩენცა | 8 | 4 | 3 | 1 | 15:15 | 15 |
| პალერმო | 9 | 4 | 2 | 3 | 13:12 | 14 |
| სამპდორია | 9 | 3 | 2 | 4 | 10:10 | 11 |
| ნაპოლი | 8 | 3 | 2 | 3 | 9:10 | 11 |
| კოზენცა | 9 | 3 | 2 | 4 | 12:15 | 11 |
| სალერნიტანა | 9 | 3 | 2 | 4 | 12:15 | 11 |
| ბარი | 9 | 3 | 2 | 4 | 7:11 | 11 |
| მესინა | 9 | 2 | 4 | 3 | 7:10 | 10 |
| ჩიტადელა | 9 | 3 | 1 | 5 | 13:17 | 10 |
| კროტონე | 9 | 2 | 2 | 5 | 12:13 | 8 |
| ტერნანა | 9 | 1 | 5 | 3 | 8:10 | 8 |
| პისტოიეზე | 9 | 1 | 3 | 5 | 4:9 | 6 |
| სიენა | 9 | 1 | 3 | 5 | 8:15 | 6 |
| კალიარი | 9 | 0 | 5 | 4 | 4:12 | 5 |

### შვედეთი
| მონპელიე | 4 | 1 | 3 | 295:337 | 5 |
| ლე ავრი | 4 | 0 | 4 | 285:331 | 4 |
| ბურგი | 4 | 0 | 4 | 287:334 | 4 |

## თურქეთი

# ულქერი და ზაზა იგებენ გზა-გზა

III ტური

**თედ კოლეჯი — ეფესი 70:102, ტელეკომი — ბუიუქ კოლეჯი 74:77, ბეშიქთაში — დარუშაფაკა 68:69, ქარშიაქა — ოიაქი 83:78, ფენერბაჰჩე — ითუ 90:97**

**გალათასარაი 78:97 ულქერი**

**გალათასარაი: თაბაი (5), გორქემი (14), მოსლი (12), ვალიევაცი (9), ბარაში, დურასლანი, ქულჩებაში (12), ოიგუჯი (2), ოზმენი (6), მეტიუზი (18)**

**ულქერი: ლოლისი (16), ფარსი (3), აბი (3), შტელმახერსი (14), გოლიოვიჩი (22), ერდენაი (3), აჩიკი (2), ფაჩულია (35 წუთი, 16 ქულა, 14 მოხსნა, 2 პასი, 2 ჩაჭრა, 1 დაფარება), ილდირიმი (14), გიულერი (4)**

თურქეთში მესამე ტურის მატჩები გაიმართა. „ულქერმა" მორიგი ორი ქულა მიითვალა. ამჯერად მან ერთ-ერთი აუტსაიდერი, თანაქალაქელი, პირობითად მასპინძელი „გალათასარაი" იმსხვერპლა. აქვე გეტყვით, რომ ზაზა ფაჩულიამ ერთობ შედეგიანად ითამაშა. მან 35 წუთში 16 ქულა და 14 მოხსნა გააკეთა. „ულქერის" მწვრთნელი მურათ დიდინი მას თავიდანვე ენდო და ზაზამაც დაუფასა ნდობა.

შეხვედრა „ულქერისთვის" კომშარულად დაიწყო. თავად განსაჯეთ, ფაჩულიას თანაგუნდელებმა ზედიზედ ხუთჯერ დაკარგეს ბურთი, მათ შორის სამჯერ შეტევაში. „გალათასარაის" კი ყველაფერი კარგად გამოსდიოდა და ქულას ქულაზე ამატებდა. პირველი ათწუთეულის ნახევარი ასე მიილია: ჰალუკ ილდირიმმა ზუსტი სამქულიანის ხარჯზე შეძლო სხვაობის შემცირება — 10:13. აქ თითქოს „ულქერს" გარდატეხა უნდა შეეტანა, მაგარმ პირიქით მოხდა. მეოთხედის დასრულებამდე მასპინძლების თითქმის ყველა შეტევა ზუსტი ტყორცნებით მთავრდებოდა. „გალამ" ეს მონაკვეთიც მოიგო (17:6) და ათწუთეულიც — 30:16.

ბუნებრივია, ჩემპიონს ასეთი თამაში არ ეკადრებოდა. მურათ დიდინმა ცვლილებებს მიმართა და შედეგმაც არ დაახანა. თამაშში ჩაერთო რობერტ შტელმახერსი, რომელმაც მხარი აუბა ფაჩულიას და მილან გოლიოვიჩს. ამ სამეულმა მეორე მეოთხედის დაწყებიდან რვა წუთში „გალათასარაის" სულ თავ-ბედი აწყევლინა. ამ დროის განმავლობაში „ულქერი" ბატონობდა ყველგან და ათწუთეული 32:14 მოიგო.

მოავლენების ასეთმა შემობრუნებამ მასპინძლებზე იმდენად დამთრგუნველად იმოქმედა, რომ ისინი მატჩის ბოლომდე გონს ვერ მოეგნენ.

მესამე მეოთხედი „ულქერმა" ასეთი შემადგენლობით დაიწყო: ფაჩულია, შტელმახერსი, აჩიკი, გოლიოვიჩი და ლოლისი. მატჩი იმავე სცენარით გაგრძელდა. „ულქერი" სწრაფი შეტევებით აზრჩობდა მეტოქეს და სხვაობას ზრდიდა. „გალამ" ექვს წუთში მხოლოდ 5 ქულის მოპოვება შეძლო. ჩემპიონმა ათწუთეული 23:17 მოიგო.

ბოლო მეოთხედის წინ სხვაობა ათი ქულა იყო. „გალათასარაის" გულშემატკივრები იმედოვნებდნენ, რომ მათი გუნდი გაიბრძოლებდა და შეხვედრის შემობრუნებას შეეცდებოდა. „ულქერმა" კი მეოთხე ათწუთეულის დაწყებისთანავე აგრძნობინა მეტოქეს, რომ შანსი არ ექნებოდა, სამიოდ წუთში სხვაობა ათიდან ცხრამეტამდე გაზარდა და მატჩიც მისი გამარჯვებით დასრულდა.

ყველაზე მეტი — 22 ქულა, მილან გოლოვიჩმა ჩაიწერა თავის ანგარიშზე. ფაჩულიას მსგავსად, კვადრე ლოლისმაც 16 ქულა და 14 მოხსნა მიითვალა. ამ მოგებით „ულქერმა" „ეფესთან", „დარუშაფაკასთან" და „ქარშიაქასთან" ერთად ლიდერთა ოთხეულში დაიმკვიდრა ადგილი.

**გაგა ხუციშვილი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| ეფესი | 3 | 3 | 0 | 264:190 | 6 |
| დარუშაფაკა | 3 | 3 | 0 | 247:206 | 6 |
| ულქერი | 3 | 3 | 0 | 280:242 | 6 |
| ქარშიაქა | 3 | 3 | 0 | 260:242 | 6 |
| ფენერბაჰჩე | 3 | 1 | 2 | 223:215 | 4 |
| ოიაქი | 3 | 1 | 2 | 207:214 | 4 |
| ითუ | 3 | 1 | 2 | 241:259 | 4 |
| ბუიუქ კოლეჯი | 3 | 1 | 2 | 191:227 | 4 |
| ბეშიქთაში | 3 | 1 | 2 | 195:217 | 4 |
| ტელეკომი | 3 | 1 | 2 | 259:249 | 4 |
| გალათასარაი | 3 | 0 | 3 | 238:282 | 3 |
| თედ კოლეჯი | 3 | 0 | 3 | 231:293 | 3 |

## იტალია

VIII ტური

**ბიელა — ფაბრიანო 76:88, სკიპერი — რომა 88:69, სკავოლინი — კანტუ 82:85, ბენეტონი — ადეკო 101:78, როზეტო — სნაიდერო 88:79, ვარეზე — სიენა 79:90, ტრიესტი — კინდერი 89:91, ვიოლა — იმოლა 73:87, ლივორნო — მიულერი 92:73**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| ბენეტონი | 8 | 8 | 0 | 739:594 | 16 |
| სიენა | 8 | 8 | 0 | 703:591 | 16 |
| კინდერი | 7 | 7 | 0 | 585:507 | 14 |
| კანტუ | 8 | 6 | 2 | 627:583 | 14 |
| ფაბრიანო | 8 | 5 | 3 | 662:657 | 13 |
| სკიპერი | 7 | 5 | 2 | 590:533 | 12 |
| სნაიდერო | 8 | 4 | 4 | 668:630 | 12 |
| იმოლა | 8 | 4 | 4 | 584:599 | 12 |
| ბიელა | 8 | 4 | 4 | 657:707 | 12 |
| ვარეზე | 8 | 3 | 5 | 717:718 | 11 |
| ტრიესტი | 7 | 4 | 3 | 547:552 | 11 |
| სკავოლინი | 7 | 3 | 4 | 562:565 | 10 |
| რომა | 8 | 2 | 6 | 597:608 | 10 |
| მიულერი | 8 | 2 | 6 | 622:656 | 10 |
| ადეკო | 8 | 2 | 6 | 617:663 | 10 |
| აველინო | 7 | 2 | 5 | 573:603 | 9 |
| როზეტო | 7 | 2 | 5 | 575:637 | 9 |
| ლივორნო | 7 | 1 | 6 | 540:597 | 7 |
| ვიოლა | 7 | 0 | 7 | 492:657 | 7 |

## ესპანეთი

VI ტური

**რეალი — ბარსელონა 97:76, ხიხონი — ფუენლაბრადა 75:83, ლეჩე — ხირონა 64:83, ლეიდა — პამესა 68:88, კახა სან ფერნანდო — გრანადა 100:96, უნიკახა — ესტუდიანტესი 75:73, კანარიასი — კანტაბრია 83:71, ხუვენტუდი — ფორუმი 89:81, ტაუ — კასერესი 117:70**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| უნიკახა | 6 | 6 | 0 | 477:376 | 12 |
| რეალი | 6 | 5 | 1 | 505:442 | 11 |
| ბარსელონა | 6 | 5 | 1 | 516:484 | 11 |
| ფორუმი | 6 | 4 | 2 | 471:444 | 10 |
| ლეჩე | 6 | 4 | 2 | 467:493 | 10 |
| ხუვენტუდი | 6 | 3 | 3 | 506:490 | 9 |
| პამესა | 6 | 3 | 3 | 475:464 | 9 |
| ხირონა | 6 | 3 | 3 | 450:467 | 9 |
| ფუენლაბრადა | 6 | 3 | 3 | 425:458 | 9 |
| ტაუ | 5 | 3 | 2 | 359:289 | 8 |
| ესტუდიანტესი | 6 | 2 | 4 | 450:445 | 8 |
| სან ფერნანდო | 6 | 2 | 4 | 469:481 | 8 |
| კანარიასი | 6 | 2 | 4 | 396:408 | 8 |
| გრანადა | 6 | 2 | 4 | 478:495 | 8 |
| ლეიდა | 6 | 2 | 4 | 482:528 | 8 |
| კასერესი | 6 | 2 | 4 | 453:446 | 8 |
| ხიხონი | 6 | 1 | 5 | 497:520 | 7 |
| კანტაბრია | 5 | 1 | 4 | 371:417 | 6 |

საქართველოს კალათბურთის ფედერაცია იუწყება, რომ გარდაიცვალა ვერის ბაღის საკალათბურთო დარბაზის დირექტორი

**ბიჭიკო ცხვედიანი**

და თანაუგრძნობს განსვენებულის ოჯახს

## ევროპის თასი. III ტური

# ლევან ცაბაძე ათი წუთისთვისაც აქეს

**IV ჯგუფი**

**ბრიჯენდი 12:16 მანსტერი**

**ჰარლიქვინზი 17:39 კასტრი**

**კასტრი:** მოლა (კარალიო), ლონგსტაფი, არტიგიუსტი, ბერიმენი, სარამეა, თაუნსენდი, ალბუა (ტელე); ტუსენი (დიმა), იბანიესი (ვინო), მუაილი (ცაბაძე 73), ლალიუკი, სპანგერო, კოსტი (ფრომანი), ფერნანდეს-ლობე (ტოსაკი), ლასისი

4 ლ: ლონგსტაფი (2), ბერიმენი (2); 2 გ: თაუნსენდი; 5 ს: თაუნსენდი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მანსტერი | 3 | 3 | 0 | 0 | 68:43 | 6 |
| კასტრი | 3 | 2 | 0 | 1 | 97:68 | 4 |
| ჰარლიქვინზი | 3 | 1 | 0 | 2 | 55:87 | 2 |
| ბრიჯენდი | 3 | 0 | 0 | 3 | 59:81 | 0 |

**გაიმართა** ევროპის თასის მორიგი ტური და ჩვენც ტრადიციულად მასში მონაწილე ერთადერთი ჩვენებურის, ლევან ცაბაძის „კასტრის" თამაშის შესახებ მოგითხრობთ, თუმცა მარტო ამ მატჩით არ შემოვიფარგლებით. მართალია, ლეონსიომ მხოლოდ ათიოდე წუთი გაატარა მოედანზე, მაგრამ მისი გუნდის თამაში მაინც საინტერესო უნდა იყოს ქართველი რაგბის ქომაგებისთვის. მაშ, ასე...

წინა სამშაბათიდან მოყოლებული „კასტრი" უმთავარმწვრთნელოდაა დარჩენილი, მაგრამ ამას მისთვის ხელი არ შეუშლია, მეტად მნიშვნელოვანი გამარჯვება ეზეიმა ლონდონში „ჰარლიქვინზთან" და სერიოზული განაცხადი გაეკეთებინა მეოთხედფინალში გასვლაზე. ფრანგული გუნდის წარმატების შემოქმედნი ლეგიონერები არიან და რაოდენ გასახარია, როცა ამის ალმნიშვნელი ფრანგი ჟურნალისტები არც შეცვლაზე გამოსულ ცაბაძეს ივიწყებენ.

ერთ-ერთი ფრანგულ ინტერნეტ-გამოცემაში ვკითხულობთ: „ცაბაძე მეორე გაშვებული ლელოს შემდეგ შემოუშვეს მინდორზე, რამაც წამსვე სასურველი შედეგი მოუტანა ალენ გაიარის შემცვლელ რემი ტრემულეს. ამის მერე ჩვენების შერკინება თავისებურად ძლიერად გამოიყურებოდა, რადგან მანამდე ძირითადის იბანიესს და ტუსენს უკვე დაეტოვებინათ მოედანი."

მანამდე კი სტუმრების სხვა ლეგიონერებმა გამოიჩინეს თავი. უკვე მე-2 წუთზე ფრანგები შოტლანდიელმა გრეგორ თაუნსენდმა დააწინაურა ზუსტი საჯარიმოთი. თუმცა ირლანდიის განთქმული კაპიტნის კიტ ვუდის თანაგუნდელები ამან არ დააფრთხო და მათ მალე საკადრისი პასუხი გასცეს მომხდურებს — უილ გრინვუდისგან მიღებული ბურთით ინგლისის ნაკრების წევრმა დან ლუგერმა დაახლოებით 60 მეტრი გაირბინა და ლელო მეტოქის ძელებს შორის გაიტანა, მარკ მეიპლტოფტმა კი გარდასახვა გამოიყენა.

ორივე დამრტყმელის მიერ ზუსტად შესრულებული თითო საჯარიმოს შემდეგ არტიგიუსტ-ბერიმენ-ლონგსტაფის კომბინაცია დასრულდა პირველი ფრანგული ლელოთი, რომელიც თაუნსენდმა ვერ გარდასახა, მაგრამ სკოტმა შეცდომა მყის გამოისყიდა და საკმაოდ შორიდან მესამე საჯარიმო შეაგდო, რასაც ხუთიოდ წუთში ერთიც დაუმატა და 23-ე წუთზე ანგარიში 10:17 გახდა.

ამის მერეც ინიციატივა მთლიანად სტუმრებს ეპყრათ ხელთ. ახალზელანდიელმა ნორმ ბერიმენმა მარჯვენა ფლანგიდან განახორციელა სოლო-რეიდი და ლელომდე სულ მცირედი დააკლდა. თუმცა მალევე მან თავისი მაინც გაიტანა, როცა რაფაელ იბანიესის ჯიქური გარღვევის შემდეგ ბურთი ისევ სამხრეთნახევარსფეროელს მიუვიდა თაუნსენდის გავლით. ამას კი თაუნსენდის გარდასახვა მოჰყვა და ტაიმი სტუმრებმა 24:10 მოიგეს.

შესვენების შემდეგაც თამაში კასტრელთა აშკარა უპირატესობით გაგრძელდა. 45-ე წუთზე თაუნსენდის პასით ისევ მისმა თანამემამულე შონ ლონგსტაფმა ისახელა თავი, სამიოდ წუთის შემდეგ კი კვლავ ბერიმენის რიგი დადგა და ასისტენტობა კვლავინდებურად თაუნსენდმა გასწია. გარე ნახევარმცველის პასის შემდეგ კასტრელმა „კივიმ" ბურთი ფეხით გადაავლო მეტოქის დაცვას და მასთან პირველი თავადვე გაჩნდა. შოტლანდიელმა მხოლოდ ერთი ლელო გარდასახა და მისმა გუნდმაც ფაქტობრივად გაინაღდა გამარჯვება — 10:36.

„ჰარლიქვინზის" ბოლოს გაბრძოლების გაუვნებლებაში კი, ჩვენი ფრანგი კოლეგების თანახმად, ლეონსიომაც საკმაო წვლილი შეიტანა. ახლა „კასტრი" „ბრიჯენდის" მძლეველ „მანსტერს" ორი ქულით ჩამორჩება, მაგრამ მასთან შინ აქვს სათამაშო. და თუ „კასტრმა" ყველა მატჩი მოიგო და ირლანდიელებს მაინც ჩამორჩა ბურთების შეფარდების გამო, იგი სავარაუდოდ მეოთხედფინალში მაინც გავა, როგორც ორიდან ერთ-ერთი საუკეთესო მეორეადგილოსანი.

დაახლოებით მსგავსი სიტუაციებია სხვა ჯგუფებშიც, ოღონდ აღსანიშნავია, რომ „კასტრისა" და „მანსტერის" მსგავსად დანარჩენ თანაჯგუფელებზე მთელი თავით მაღლა მხოლოდ „სტად ფრანსე" და „ოლსტერი" დგანან. სხვაგან არის თითო-თითო გუნდი, რომელიც პირველობას ნაღდად არავის დაუთმობს, მაგრამ შემდეგ დაახლოებით თანაბარი ძალის ორი კლუბი მაინც მოდის, რაც „კასტრის" საუკეთესო მეორეობას (პროგრამა-მინიმუმი) ერთობ რეალურს ხდის.

**გაგი გურული**



ჰარლიქვინზი — კასტრი. სკოტ ბიმენდი კასტრელ ერიკ არტიგიუსტს ბოჭავს

**I ჯგუფი**

**პერპინიანი 30:31 ლესტერი**

**კალვისანო 13:31 ჰლანეჰლი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ლესტერი | 3 | 3 | 0 | 0 | 80:42 | 6 |
| ჰლანეჰლი | 3 | 2 | 0 | 1 | 60:31 | 4 |
| პერპინიანი | 3 | 1 | 0 | 2 | 92:54 | 2 |
| კალვისანო | 3 | 0 | 0 | 3 | 19:124 | 0 |

**II ჯგუფი**

**სტად ფრანსე 40:11 ოლსტერი**

**უოსფსი 29:24 ტრევიზო**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სტად ფრანსე | 3 | 3 | 0 | 0 | 107:39 | 6 |
| ოლსტერი | 3 | 2 | 0 | 1 | 86:87 | 4 |
| უოსფსი | 3 | 1 | 0 | 2 | 67:91 | 2 |
| ბენეტონი | 3 | 0 | 0 | 3 | 61:104 | 0 |

**III ჯგუფი**

**სუონსი 15:10 ბიარიცი**

**ედინბურგი 6:37 ბათი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბათი | 3 | 3 | 0 | 0 | 89:21 | 6 |
| სუონსი | 3 | 2 | 0 | 1 | 45:64 | 4 |
| ბიარიცი | 3 | 0 | 1 | 2 | 22:35 | 1 |
| ედინბურგი | 3 | 0 | 1 | 2 | 28:64 | 1 |

**V ჯგუფი**

**ნორთჰემპტონი 15:21 მონფერანი**

**კარდიფი 46:7 გლაზგო**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მონფერანი | 3 | 2 | 1 | 0 | 77:44 | 5 |
| კარდიფი | 3 | 2 | 0 | 1 | 81:61 | 4 |
| ნორთჰემპტონი | 3 | 1 | 0 | 2 | 62:55 | 2 |
| გლაზგო | 3 | 0 | 1 | 2 | 35:95 | 1 |

**VI ჯგუფი**

**ლენსტერი 21:6 ნიუპორტი**

**ტულუზი 33:13 ნიუკასლი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ლენსტერი | 3 | 3 | 0 | 0 | 89:25 | 6 |
| ნიუპორტი | 3 | 2 | 0 | 1 | 61:62 | 4 |
| ტულუზი | 3 | 1 | 0 | 2 | 63:74 | 2 |
| ნიუკასლი | 3 | 0 | 0 | 3 | 43:95 | 0 |

## ევროპის ფარი. III ტური

PARKER PEN SHIELD

**I ჯგუფი**

**ებ ვეილი 16:5 მონტობანი**

**აჟანი 43:3 როვიგო**

**აჟანი:** ლაფორგი, კორო, შტოლცი (დულინი), მანა, კორეჟი (მარტინი), ჟელეზი (ბუიკი), ტანდონე (ბენეტონი); ჰასანი, მთიულიშვილი (ვალეტი 72), პორკუ, კუზინე, ბარაჟე (პლანადი), ბუკანუშა, ლაბრუსი, დიუკო (გუიემე)

6 ლ: დიუკო, შტოლცი, კორო, ჰასანი, ბუიკი, მანა; 5 გ: ლაფორგი (4), ჟელეზი; 1 ს: ჟელეზი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| აჟანი | 3 | 2 | 0 | 1 | 89:40 | 4 |
| მონტობანი | 3 | 2 | 0 | 1 | 74:65 | 4 |
| ებ ვეილი | 3 | 2 | 0 | 1 | 53:51 | 4 |
| როვიგო | 3 | 0 | 0 | 3 | 52:112 | 0 |

**II ჯგუფი**

**პადოვა 12:74 კოლომიე**

**პო 62:10 მადრიდი**

*პო 6, კოლომიე 4, პადოვა 2, მადრიდი 0*

**III ჯგუფი**

**ლიდსი 30:27 პონტიპრიდი**

**პარმა 41:29 ბეზიე**

ბეზიე: 4 ლ: დიუბუა (2), ბუსკეტი, ვონი; 3 გ: დურთი; 1 ს: დურთი

ტარიელ რატიანიძემ შეცვლილად ითამაშა, გოდერძი შველიძე „ევროპის ფარის" მატჩებში არ მონაწილეობს

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| პარმა | 3 | 2 | 0 | 1 | 92:70 | 4 |
| ლიდსი | 3 | 2 | 0 | 1 | 86:85 | 4 |
| პონტიპრიდი | 3 | 1 | 0 | 2 | 70:61 | 2 |
| ბეზიე | 3 | 1 | 0 | 2 | 69:101 | 2 |

**IV ჯგუფი**

**ნარბონი 40:0 რომა**

**კონახტი 30:33 სეილი**

*სეილი 6, კონახტი 4, ნარბონი 2, რომა 0*

**V ჯგუფი**

**ვიადანა 16:42 ბრისტოლი**

**ნისი 27:20 ბურგუენი**

*ბრისტოლი 6, ნისი 4, ვიადანა 2, ბურგუენი 0*

**VI ჯგუფი**

**ვალიადოლიდი 5:71 ლონდონ აირიში**

**ლაკვილა 29:41 დაქსი**

*ლონდონ აირიში 6, დაქსი 4, ლაკვილა 2, ვალიადოლიდი 0*

**VII ჯგუფი**

**გლოსტერი 98:14 კერფილი**

**ლა როშელი 28:14 გრან პარმა**

*გლოსტერი 6, ლა როშელი 4, კერფილი 2, გრან პარმა 0*

**VIII ჯგუფი**

**ბეგლ-ბორდო 82:23 დინამო**

**სარასენზი 113:3 ბოლონია**

*სარასენზი 6, ბეგლ-ბორდო 4, დინამო 2, ბოლონია 0*



## NHL. რეგულარული ჩემპიონატი

# მესამე და ათასი

29 ოქტომბერი

**რეინჯერსი 4:2 დალასი (1:1 3:1 0:0)**

**0:1 მოროუ 8(4), 1:1 იორკი 14(3), 1:2 ტარჯონი 24(4), 2:2 იორკი 33(4), 3:2 მაკარტი 36(1), 4:2 ვან იმპი 38(1)**

„ყოველთვის სასიამოვნოა როცა ინდივიდუალურად რაიმეს მიაღწევ, მაგრამ როდესაც გუნდიც გაიმარჯვებს, ორმაგად სასიხარულოა" — თქვა რეინჯერსის ლიდერმა ტეო ფლერიმ და ძნელია, მის გულწრფელობაში ეჭვი შეგეპაროს. თავის 14-წლიან კარიერაში ტეომ ოთხშაბათს ნებისმიერი ჰოკეისტისთვის საპატიო 1000-ქულიან ზღვარს მიაღწია. ჩამოყალიბების პერიოდში მყოფმა რეინჯერსმაც მოიგო, თან ვისთან, დალასთან, იმ დროს, როცა ნახევარი თამაშის განმავლობაში ძალიან უჭირდა. ამ ფაქტმა გუნდს თავდაჯერება უნდა შეჰმატოს. მეკარე მაიკ რიხტერმა კი სასწაული მოახდინა. დალასი აშკარად სჯობდა მეტოქეს და პირველ მესამედში დარტყმების შეფარდებაც 15:4 იყო. სტუმრებმა ტემპი მეორე მესამედშიც შეინარჩუნეს, თუმცა მხოლოდ 2:1 იგებდნენ. სწორედ ამ მომენტში თქვა თავისი სიტყვა ფლერიმ. „ჯუჯა ტეომ" მცველ დერიან ჰეჩერს შაიბა ოსტატურად გამოსტაცა და უმალ დაარტყა. დალასის მეკარე ედ ბელფორმა რეაგირება მოასწრო, მაგრამ მაიკ იორკს დამატებაში ხელი ველარ შეუშალა. ეს ფლერის მეორე ასისტენტობა გახლდათ ამ მატჩში და სწორედ მან მოუტანა მე-1000 ქულა.

შემდეგ კი რეინჯერთა კაპიტან მარკ მესიეს დრო დადგა. მის მიერ წამოწყებული კომბინაცია გოლით დაგვირგვინდა, რომელმაც საბოლოოდ გაიყვანა მასპინძლები წინ. თავად მესიემ კი 1135-ე პასი მიითვალა და ნჰლ-ის საუკეთესო მეპასეთა სიაში მე-4 ადგილზე მყოფ პოლ კოფის გაუტოლდა. 38-ე წუთზე ახალწვეულ მცველ დერენ ვან იმპის შორეულმა დარტყმამ გააოგნა ბელფორი და სტუმრები საბოლოოდ გატეხა. აი, ასეთი სასიამოვნო საღამო აჩუქეს თავიანთ ქომაგებს ნიუიორკელებმა, რომლებმაც ყოველივე ზემოთქმულთან ერთად დალასთან 8-მატჩიანი მოუგებელი სერიაც შეწყვიტეს.

**სამველ ლარიბიანი**

**ჩრდილო აღმოსავლეთი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ტორონტო | 11 | 6 | 1 | 1 | 3 | 35:27 | 14 |
| ბოსტონი | 12 | 5 | 3 | 1 | 3 | 26:22 | 14 |
| ბუფალო | 12 | 5 | 1 | 1 | 5 | 30:31 | 12 |
| მონრეალი | 10 | 5 | 1 | 0 | 4 | 26:25 | 11 |
| ოტავა | 12 | 5 | 1 | 0 | 6 | 37:33 | 11 |

**ატლანტიკა**

| | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| აილენდერსი | 10 | 8 | 1 | 1 | 0 | 36:21 | 18 |
| რეინჯერსი | 12 | 6 | 1 | 0 | 5 | 30:39 | 13 |
| ფილადელფია | 10 | 4 | 3 | 0 | 3 | 34:28 | 11 |
| პიტსბურგი | 11 | 4 | 1 | 1 | 5 | 25:31 | 10 |
| ნიუ ჯერსი | 8 | 4 | 0 | 1 | 3 | 23:24 | 9 |

**სამხრეთ აღმოსავლეთი**

| | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| კაროლინა | 12 | 6 | 0 | 2 | 4 | 31:32 | 14 |
| ვაშინგტონი | 11 | 5 | 1 | 0 | 5 | 29:28 | 11 |
| ტამპა | 10 | 4 | 1 | 0 | 5 | 22:23 | 9 |
| ატლანტა | 9 | 3 | 1 | 2 | 3 | 21:26 | 9 |
| ფლორიდა | 11 | 2 | 2 | 1 | 6 | 22:34 | 7 |

**ცენტრი**

| | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| დეტროიტი | 11 | 9 | 0 | 0 | 2 | 37:27 | 18 |
| ჩიკაგო | 12 | 6 | 3 | 0 | 3 | 38:32 | 15 |
| სენტ ლუისი | 10 | 4 | 3 | 0 | 3 | 30:26 | 11 |
| ნეშვილი | 11 | 3 | 2 | 0 | 6 | 25:31 | 8 |
| კოლუმბუსი | 11 | 1 | 4 | 0 | 6 | 20:37 | 6 |

**ჩრდილო დასავლეთი**

| | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| კალგარი | 12 | 8 | 0 | 2 | 2 | 35:25 | 18 |
| ედმონტონი | 13 | 8 | 1 | 0 | 4 | 41:31 | 17 |
| კოლორადო | 12 | 7 | 0 | 0 | 5 | 33:28 | 14 |
| მინესოტა | 9 | 3 | 3 | 1 | 2 | 25:28 | 10 |
| ვანკუვერი | 12 | 3 | 1 | 0 | 8 | 34:40 | 7 |

**წყნარი ოკეანე**

| | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| სან ხოსე | 11 | 4 | 3 | 1 | 3 | 26:29 | 12 |
| დალასი | 12 | 4 | 2 | 2 | 4 | 28:31 | 12 |
| ფინიქსი | 10 | 4 | 2 | 1 | 3 | 21:23 | 11 |
| ანაჰაიმი | 11 | 4 | 1 | 0 | 6 | 23:31 | 9 |
| ლოს ანჯელესი | 12 | 3 | 1 | 2 | 6 | 31:31 | 9 |

# პიტსბურგს უკვე უჭირს

**ძალიან** მძიმე პერიოდი დაუდგა პიტსბურგს. ჩემპიონატის დაწყებიდან ერთი თვეც არ გასულა „პინგვინებს" კი უკვე სამი წამყვანი ფორვარდი გამოაკლდათ. ეს უქმეები განსაკუთრებით სევდიანი გამოდგა — შაბათს მარიო ლემიე დაშავდა. მან ნეკნი ჯერ კიდევ საგამოფენო მატჩებში იტკინა, თუმც თავიდან ტრავმა უმნიშვნელო ჩანდა. დაიწყო ჩემპიონატი და იგი უკვე ორჯერ გაუმიზეზდა. პირველად ლემიემ ორი თამაში გამოტოვა, ამჯერად კი ტორონტოელ უეიდ ბელაკთან შეჯახება საბედისწერო აღმოჩნდა. პიტსბურგის სპორტული მედიცინის ცენტრის მთავარ ქირურგ მარკ ფილიპონის დასკვნით, მას ოპერაცია სჭირდებოდა, რადგან სხვაგვარად მდგომარეობა კიდევ უფრო გართულდებოდა. ორშაბათს ფილიპონმა თავად გაუკეთა ჰოკეისტს ოპერაცია, რის შემდეგაც გაირკვა, რომ შეიძლება მან ერთ თვეს ვერ შეძლოს თამაში. ყოველ შემთხვევაში, სამი კვირით გუნდს ნამდვილად გამოაკლდა. თუმც ეს პიტსბურგის ერთადერთი დანაკარგი როდია. კვირას მარტინ სტრაკამ ფეხი მოიტეხა და მისი დიაგნოზი კიდევ უფრო უნუგეშო გამოდგა — სამი-ექვსი თვე უმოქმედოდ უნდა იყოს. თუ გავიხსენებთ, რომ სეზონის წინ პიტსბურგს იარომირ იაგრი გამოეთხოვა, ხოლო ალექსეი კოვალიოვმა ჯერაც ვერ მოირჩინა მუხლის ტრავმა, ცხადი გახდება, რაოდენ შემცირდა გუნდის შეტევი პოტენციალი.

## კვირის მოთამაშე

### ჯერომ იგინლა (კალგარი)



ჩემპიონატის დაწყებიდან სულ ოთხი კვირა გავიდა და კალგარის მოთამაშე უკვე მეორედ გახდა ლაურეატი. პირველი კვირის ყოჩის, მეკარე რომან ტურეკის შემდეგ ეს საპატიო ტიტული ფორვარდმა ჯერომ იგინლამ მოიპოვა. 1996 წლის მსოფლიოს ახალგაზრდულ ჩემპიონატზე საუკეთესო ფორვარდად აღიარების შემდეგ მულატი თავდამსხმელისგან კაშკაშა კარიერას ელოდნენ ნჰლ-ში. 5 წლის განმავლობაში ჯერომი კალგარის ლიდერი შეიქნა, მაგრამ მხოლოდ წლეულს გამოჩნდა სრულად მისი შესაძლებლობები. გასული 7 დღის განმავლობაში ჩატარებულ 4 მატჩში იგინლამ 11(!) ქულა დააგროვა (4 გოლი 7 პასი) და 19(8+11) ქულით ერთპიროვნულად გაუძღვა ბომბარდირთა სიას. განსაკუთრებით შთამბეჭდავი ნეშვილთან მატჩი გამოდგა. „ალები" ორი პერიოდის შემდეგ 1:4 აგებდნენ, მაგრამ იგინლამ 2 გოლითა და შედეგიანი პასით თამაში ოვერტაიმში გადაიყვანა. სენტ ლუისთან 3:2 მოგებაში ფორვარდმა 3 პასით შეიტანა წვლილი და დანარჩენ ორ შეხვედრაშიც გუნდში საუკეთესო იყო. ცხადია, იგინლას ამგვარმა გაბრწყინებამ გუნდზეც დადებითად იმოქმედა, კალგარი თამამად გამოიყურება სტარტზე და 18 ქულით ლიგის ერთ-ერთი ლიდერია აილენდერსსა და დეტროიტთან ერთად.

**საუკეთესო ექვსეული. 22-28 ოქტომბერი**

*კერტის ჯოზეფი (ტორონტო, 1); მეტიუ შნაიდერი (ლოს ანჯელესი, 1) — ნიკლას ლიდსტრიომი (დეტროიტი, 1); ჯერომ იგინლა (კალგარი, 1) — რონ ფრენსისი (კაროლინა, 1) — ბრენდან მორისონი (ვანკუვერი, 1)*

ეროვნული ბიბლიოთეკა

მსოფლიოს თასი

# მსოფლიოს თასი შავად დაიწყო

## რეჟინ კავანიუს სიკვდილის აჩრდილი დასტრიალებს

**სამწუხარო** ცნობა მოვიდა ავსტრიული ინსბრუკიდან. მორიგი ვარჯიშის დროს საშინლად დაშავდა ქალთა სამთოსათხილამურო ელიტის წევრი, ფრანგი რეჟინ კავანიუ და სულ ბოლო, გუშინდელი ცნობით, ექიმებს ჯერ კიდევ არა აქვთ მისი გადარჩენის იმედი. საფრთხეშია მეორე ადამიანის, მარკუს ანვანდერის სიცოცხლეც.

შემთხვევა ინსბრუკთან ახლოს, მთაში მოხდა, სადაც ავსტრიელებს ჩინებული საწვრთნელი ბაზები აქვთ და მრავალი ქვეყნის მოთხილამურეები მათ ვარჯიშისთვის იყენებენ. სწორედ ვარჯიშისას, ვინ იცის, რა ვითარებაში, კავანიუს ტრასაზე აღმოჩნდა გერმანელი მწვრთნელი მარკუს ანვანდერი და შეჯახების შემდეგ სახიფათოდ დაუშავდა თავი, სახე და შინაგანი ორგანოები, მაგრამ კავანიუ ბევრად უარეს დღეშია.

„პაციენტს ძალიან სერიოზული ტრავმები აქვს თავისა და ტვინის არეში, რამდენიმე ღია ჭრილობა სახეზე, გატეხილი ნეკნები და დაზიანებული ღვიძლი“ — ჩამოთვალა დოქტორმა მიხაელ ბლაუთმა 4-საათიანი სასწრაფო ოპერაციის შემდეგ. ოპერაცია ინსბრუკის უნივერსიტეტის კლინიკაში ჩატარდა, სადაც დაშავებულები ვერტმფრენით გადაიყვანეს. ეს კლინიკა ალპური ტრავმების წამლობაში საუკეთესოდ ითვლება.

„დაზიანებათა მთელი სიმრავლე — განაგრძო დოქტორმა — სრულ საფუძველს იძლევა განვაცხადოთ, რომ კავანიუს სიცოცხლე საფრთხეშია“.

ეს განცხადებები, შევახსენებთ, გაკეთდა გუშინწინ, ოპერაციის შემდეგ, ხოლო გუშინ ბლაუთს ახალი არაფერი უთქვამს, პაციენტის მდგომარეობა უცვლელია, ანუ ექსტრემალურად კრიტიკული, ჩვენ მას ხელოვნურ კომაში ვამყოფებთო.

მომხდარმა ხალხი შეაძრწუნა. საფრანგეთის სპორტის მინისტრმა მარი-ჟორჟ ბუფემ უკვე გააკეთა კომენტარი: „რეჟინ კავანიუ გამორჩეული ახალგაზრდა ქალი გახლავთ. იგი მთელი გულით ემზადებოდა ზამთრის ოლიმპიადისთვის, მაგრამ ახლა მთავარია, გამოჯანმრთელდეს, დანარჩენს მნიშვნელობა არა აქვს“.

ჯერ კიდევ შაბათს კავანიუ პოდიუმზე იდგა და მსოფლიოს თასზე პირველ წარმატებას აღნიშნავდა: ქალთა გიგანტურ სლალომში (რომლითაც საერთოდ სეზონი დაიწყო) ფრანგმა მესამე ადგილი დაიკავა, ხოლო პირველობისთვის ყველაზე აშკარა ფავორიტებმა იბრძოლეს. პირველი სრიალის შემდეგ სონია ნეფი 0,15 წამით უსწრებდა მიხაელა დორფმაისტერს, მაგრამ მეორეში ნეფმა შეცდომა დაუშვა და ავსტრიელმა არ აპატია. დორფმაისტერის მეორე სრიალი სრულიად უნაკლო გახლდათ. ამით დასრულდა ნეფის უწყვეტი სერია, რომელიც გასულ სეზონში 5 ეტაპის ზედიზედ მოგებისგან შედგებოდა. ეს ამბავი შვეიცარიელ ლამაზმანს ტრაგიკულად არ აღუქვამს.

„ვიცოდი, რომ ოდესმე ეტაპს წავაგებდი — განაცხადა ნეფმა — ყველაფერი ჯერ კიდევ იწყება და იმედია, ალმაფრენას საჭირო მომენტში დავიწყებ. დღეს მე თითო სრიალისას თითოჯერ შევცდი და ამან წამაგებინა“.

„თვითონ ეს ტრასა ძალიან რთული სასრიალოა — თქვა ახლა დორფმაისტერმა ავსტრიული ზოლდენის ფერდობის შესახებ — ამიტომ უფრო მიხარია, სეზონი გამარჯვებით რომ დავიწყე. შედარებით ადვილ დისტანციებზეც ალბათ წარმატება მელის“.

მესამე ფავორიტად ცნობილ ანია პაერსონს იმ დღეს არ გაუმართლა, მხოლოდ 24-ე ადგილზე გავიდა. ზუსტად მის წინ განთავსდა რენატე გოეჩლი, რომელმაც მსოფლიოს თასი შარშან იანიცა კოსტელიჩს დაუთმო და თავად კოსტელიჩი სტარტზე საერთოდ არ შემდგარა, ნაოპერაციევ მუხლს მკურნალობს და ნოემბრის მეორე ნახევარში აპირებს გამოჩენას. ეს ის დრო იქნება, როცა თასის ეტაპები ამერიკის კონტინენტზე გადაინაცვლებს. კოსტელიჩის ანგარიშზე ზედიზედ 8 მოგებული სლალომის ეტაპია. ამ უნიკალური შედეგის გაუმჯობესებაც ურიგო საქმე არ იქნება.

კვირას ვაჟებმაც პირველი ეტაპი გამართეს, მათაც გიგანტურ სლალომში. ჰერმან მაიერის არყოფნა ყველაზე კარგად უცნობმა ფრანგმა ფრედერიკ კოვილმა გამოიყენა, რომელმაც გიგანტური სლალომის გიგანტ მიხაელ ფონ გრუნინგენს და სხვა ფავორიტებს აჯობა.

დორფმაისტერის არ იყოს, კოვილმაც მეორე სრიალისას იყოჩაღა, თუმცა პირველი სრიალის შემდეგაც მეორე ადგილზე იყო.

„მე დღეს აგრესიული ვიყავი — განაცხადა კოვილმა — შეიძლება ვილაცეები ჩემს შანსებზე იცინოდნენ, მაგრამ სულით და გულით ვიბრძოლე და გავიმარჯვე კიდეც“.

კოვილის დოსიეში ტიტულების და მედლების პოვნა ძნელი საქმეა, მხოლოდ ერთი ბრინჯაოს მედალი ეკუთვნის ბოლო მსოფლიოს ჩემპიონატიდან, რომელიც თებერვალში, ავსტრიულ სანტ ანტონში დაიმსახურა. ამ ფონზე მეტად გამოჩნდება ავსტრიელი შტეფან ებერჰარტერის სხვადასხვა მიღწევა და მათ შორის ორი მეორე ადგილი იმავე ზოლდენის ეტაპებზე (1998 და 2000 წლებში). ებერჰარტერმა ამჯერადაც ტრადიცია გააგრძელა, ხოლო ფონ გრუნინგენი მესამე იყო.

ნორვეგიელებმა მაინცდამაინც ვერაფერს მიაღწიეს. 1999 წლის მსოფლიოს თასის მფლობელი ლასე კიუსი პირველი სრიალის შემდეგ ლიდერობდა, მაგრამ მეორე წრეზე მის მანევრებს სიფაქიზე მეტად მოაკლდათ და ჯამში წვეროსანმა ვიკინგმა მხოლოდ მე-6 შედეგი უჩვენა. ძლიერი კეტილ ანდრე ამოდტიც ათეულში ძლივს მოხვდა.

**დავით გულუა**

| ქალები. გიგანტური სლალომი |
|---|
| 1. მიხაელა დორფმაისტერი (ავსტრია) 2.28,38; 2. სონია ნეფი (შვეიცარია) 2.28,79; 3. რეჟინ კავანიუ (საფრანგეთი) 2.29,98 |
| ვაჟები. გიგანტური სლალომი |
| 1. ფრედერიკ კოვილი (საფრანგეთი) 2.14,50; 2. შტეფან ებერჰარტერი (ავსტრია) 2.14,59; 3. მიხაელ ფონ გრუნინგენი (შვეიცარია) 2.14,82 |




REUTERS

ზოლდენში რეჟინ კავანიუმ საპოდიუმოდ ისრიალა, ახლა კი სიკვდილს ებრძვის




სტეფანო ბალდინი

# იტალიელმა ესპანელებს გამოსათხოვარი ბანკეტი ჩაუშხამა

**კვირას** მადრიდში ცხელოდა — თბილისქალაქში უკვე დაწყებული სიცივის, უშუქობის, უგაზობისა და მისთანების ფონზე ამ ფრაზას ფრთხილად, მაგრამ მაინც ვამბობთ, რადგან უჩვეულოდ მაღალმა ტემპერატურამ 28 ოქტომბერს ესპანეთის დედაქალაქში ადგილობრივი მარათონის დაბალი შედეგები განაპირობა.

წლევანდელი მადრიდის მარათონი ორი დიდებული მემარათონეს — მარტინ ფიზისა და აბელ ანტონის გაცილების ცერემონიალად იქცა. 90-იან წლებში ეს ორი ესპანელი კომეტასავით შეიჭრა შავკანიანი და შავგვრემანი სტაიერებით გაჯერებულ გრძელ დისტანციათა სამყაროში და იქ რამდენიმე სენსაცია მოახდინა. კერძოდ, მართონის 3 მსოფლიოს ჩემპიონატი ისე გასრულდა, აფრიკელებს ჩემპიონობა არ ღირსებიათ, 1995 წელს პოდიუმი ფიზმა დაიპყრო, მერე ორჯერ ზედიზედ — ანტონმა. ამ და ზოგიერთი სხვა ესპანელის, აგრეთვე პორტუგალიელი ანტონიო პინტუს წყალობით ევროპამ სამართონე მაჩანჩალას სახელი მოიშორა და ბევრი არ გავაგრძელოთ: ფიზი და ანტონი ისტორიაში ყოფნას იმსახურებენ.

ამ აზრს სავსებით იზიარებდა მადრიდის ქუჩების 42,195-კილომეტრიანი პერიმეტრის გასწვრივ შეყრილი მილიონამდე მოქალაქე, ძირითადად, ცხადია, ესპანეთისა. ისინი კერპების სანახავად მისულიყვნენ, რომლებიც კვირას სამარათონე კარიერის დასარულებლად შეუდგნენ სირბილს. დიდი მხარდაჭერის მიუხედავად, ფიზმა და ანტონმა ბოლო პროფესიული სირბილი მაღალ ადგილზე ვერ დაასრულეს და აქ რა მოსატანია, მაგრამ 25 ათასი დოლარი სხვის ანგარიშზე ჩაირიცხა.

კერძოდ, ეს გახლდათ იტალიელი სტეფანო ბალდინი, ესპანელების დონის არა, მაგრამ ფრიად სოლიდური მემარათონე, რომელიც სამი წლის წინ ევროპის ჩემპიონი გახდა.

„გზა ოღროჩოღრო იყო და მცხელოდა, ამიტომ დროზე აღარ ვფიქრობდი, მხოლოდ გამარჯვება მაინტერესებდა“ — აღიარა ბალდინიმ მარათონის შემდგომ. მისი უპირატესობა საკმაოდ გვიან გამოიკვეთა, შუაგზის მერე. იქამდე მოწინავედ 12-კაციანი ჯგუფი მივიდა 64 წუთსა და 30 წამში (მათში ანტონიც ერია), მაგრამ 34-ე კილომეტრისთვის გუნდი 8 კაცამდე შეთხელდა და სწორედ ამ ადგილას ბალდინიმ გადაწყვიტა, რომ კომპანიაში სირბილი მეტად აღარ სჭირდებოდა. მისი იერიში უმრავლესობისთვის გაუსაძლისი გამოდგა, მხოლოდ ლოს ანჯელესის მარათონის გამარჯვებული (1999 წელს) საიმონ ბორი მიჰყვა იტალიელს. ბორი კენიელია, გამძლე ჯიშის, მაგრამ სულ რაღაც 2 კილომეტრის შემდეგ ბალდინიმ კიდევ ერთხელ რომ შეუტია, იმანაც ვერ გაუძლო.

გამარჯვებულის შედეგი 2 საათი, 9 წუთი და 59 წამია. მართალია, ეს მარათონების ისტორიას ვერ დაამშვენებს, მაგრამ სიმბოლურია, რომ ბალდინი 2:10-ში ერთი წამის სიზუსტით ჩაეტია.

პენსიაზე მიმავლებიდან ფიზი მე-11 იყო, არაქათგამოცლილმა ანტონმა კი სირბილი მე-17 შედეგით დაასრულა. მოწინავე ათეულში ვხედავთ მარათონის ცნობილ ოსტატებს — ფრედ კიპროპს და ელია ლაგატს. საერთოდაც, ვერ გაიმარჯვეს, თორემ კენიელებმა დაიკავეს თითქმის ყველა ადგილი პირველ ათეულში: მე-2, მე-3, მე-4 და მე-6-დან მეცხრეს ჩათვლით, როგორც საერთოდ სჩვევიათ.

ქალებმაც ირბინეს მადრიდის კოხტა ქუჩებში. აქ ყველაფერი თავიდან გაირკვა. ატლანტის ოლიმპიადის ჩემპიონი ფატუმა რობა ფავორიტად შეირაცხა და მანაც ეჭვის საფუძველი არავის მისცა. რობამ თავიდანვე გაწყვიტა კავშირი მდევრების სრულ უმრავლესობასთან, ცოტა ხანში ესტონელი იანე სალუმაეც შორს მოიტოვა და დისტანციის მეტი წილი მარტომ ირბინა. ბოსტონის მარათონზე სამჯერ გამარჯვებულს ფინიშის დიდი უპირატესობით გადალახვა არ გასჭირვებია.

მეორე მარათონი სიდნეიში გაიმართა, სადაც ახლა გაზაფხულია და ყვავილები გაიფურჩქნა. იქნებ ამიტომ მართონის ოფიციალური სახელი „სიდნეი ფლორა მარათონი“ გახლავთ, თუმცა ვერ ვიტყვით, რომ იქ მორბენალი 1600 კაციდან ვინმეს სახელი ქუხდეს. წინა კვირაში ერთ-ერთი „სარბიელის“ ბოლო გვერდზე ჩანდა სიდნეის ჩასული ოლიმპიური ჩემპიონი ნაოკო ტაკაჰაში, მაგრამ გამძლე იაპონელი გოგონა ავსტრალიის დედაქალაქს მხოლოდ ტურისტად და სარეკლამო მიზნებით ესტუმრა.

გაიმარჯვეს ავსტრალია-ოკეანეთის რეგიონელებმა. კლერკმა ახალი ზელანდიიდან, დემონ ჰერისმა ვაჟთა რბოლა საცოდავი შედეგით (2:25.49) მოიგო, რაც სიდნეის ოლიმპიადაზე მხოლოდ მე-60 ადგილის დასაკავებლად იკმარებდა.

რბოლის ქრონიკა მაინც უნდა მოგაწოდოთ: მე-10 კილომეტრზე დაწინაურდა მაროკოელი მუსტაფა ტაკიედინი, რომელმაც მთელი 20 კილომეტრი ენერგიულად განვლო, მაგრამ 26 წლის ჰერისს ძალები უფრო შემორჩენოდა და იგი არაბს 30-ე კილომეტრზე დაეწია. შემდეგ ახალზელანდიელი მხოლოდ ზრდიდა თავის გარღვევას და ფინიში თითქმის სამწუთიანი მარაგით გადალახა.

**დავით გულუა**

| მადრიდის მარათონი |
|---|
| ვაჟები |
| 1. სტეფანო ბალდინი (იტალია) 2:09.59; 2. საიმონ ბორი (კენია) 2:10.54; 3. ფრედ კიპროპი (კენია) 2:11.24 |
| ქალები |
| 1. ფატუმა რობა (ეთიოპია) 2:28.33; 2. იანე სალუამე (ესტონეთი) 2:32.02; 3. მერი პტიკანი (კენია) 2:38.30 |
| სიდნეის მარათონი |
| 1. დეიმონ ჰერისი (ახალი ზელანდია) 2:25.49; 2. მუსტაფა ტაკიედინი (მაროკო) 2:28.25; 3. ბორისლავ დევიჩი (იუგოსლავია) 2:29.11 |

# ვაპირებთ თანამედროვეს, ვფიქრობთ მასშტაბურზე



გურამ [illegible] ფოტო

პაატა სეხნიაშვილი

ერთი კვირა გაგრძელდა საჩოგბურთო კლუბ „ოლიმპის" მიერ ორგანიზებული ბავშვთა ტურნირი სპორტის აკადემიის კორტებზე. ტურნირზე ასამდე ნორჩმა ჩოგუბრთელმა მოიყარა თავი. გოგონებმა და ბიჭებმა ხუთ ასაკობრივ ჯგუფში იასპარეზეს. გამარჯვებულებს და პრიზიორებს ძვირადღირებული სპორტული ინვენტარი გადაეცათ.

ტურნირის დირექტორი წარსულში ცნობილი ჩოგბურთელი პაატა სეხნიაშვილი იყო. იგი წლების განმავლობაში საბჭოთა კავშირის ნაკრების წევრი გახლდათ, არის საქართველოს მრავალგზის ჩემპიონი და საერთაშორისო ტურნირების პრიზიორი. იმავდროულად, პაატა სეხნიაშვილი საჩოგბურთო კლუბ „ოლიმპის" მთავარი მწვრთნელია. იგი ტურნირის და კლუბის შესახებ გვესაუბრება.

— ამ კორტებს არაერთი ტურნირი ახსოვს, მაგრამ „ოლიმპის" ღია პირველობა მხოლოდ მეორედ იმართება. გადავწყვიტეთ, ტურნირი ტრადიციული გავხადოთ.

**— თქვენი აზრით, როგორ იყო ტურნირი ორგანიზებული?**

— ვფიქრობ, ნორმალურად. ერთი ეს იყო, უამინდობამ შეგვიშალა ხელი, ფინალების გადადება მოგვიხდა, რამაც გრაფიკი აგვირია. სხვა მხრივ, ყველაფერი კარგად გაკეთდა. თანაც ტურნირი საქართველოს ჩოგბურთის ფედერაციის ოფიციალურ კალენდარში შევიდა.

**— რამდენი ბავშვი ვარჯიშობს თქვენს კლუბში?**

— დაახლოებით სამოცი. ჩვენ ნორჩებს არაფრით ვზღუდავთ. მაგალითად, ჩოგბურთელს შეუძლია, ნებისმიერ ასაკამდე ივარჯიშოს „ოლიმპში" და მერე, თუ მოისურვებს, დამოუკიდებლად გააგრძელოს კარიერა. ჩვენ ხელს არ ვუშლით. ეს მის ნება-სურვილზეა დამოკიდებული.

**— რა სახსრებით ფინანსდებით?**

— ძირითადად მშობლების ხარჯზე, ოფიციალური სპონსორი ჯერ არ გვყავს. ხანდახან შეგირდებს რალაცით მაინც ვეხმარებით, მაგალითად, რამდენჯერმე საჭირო ინვენტარი ვაჩუქეთ. მაგრამ უფულობის გამო ეს იშვიათად ხდება. არის კიდევ შეღავათები: თუ ბავშვი ერთი საათის ვარჯიშის ფულს იხდის, ჩვენ საშუალებას ვაძლევთ, გაცილებით მეტი დრო დაჰყოს კორტზე. კლუბის პრეზიდენტი ნიკოლოზ გულიაშვილიც მუდამ გვერდში გვიდგას.

**— სავარჯიშო პირობები როგორია?**

— დღევანდელი სიდუხჭირის კვალობაზე მშვენიერი პირობები აქვთ ნორჩებს. კეთილმოწყობილ კორტებზე რომ არაფერი ვთქვათ, გვყავს ფიზმომზადების მწვრთნელი, მასაჟისტი, ექიმი. არის საშხაპეები, საუნა. მწვრთნელებადაც ძლიერი სპეციალისტები მუშაობენ. მაგალითისთვის ვლადიმერ მარგალიტაძეც კმარა. ძირითადად ჩემი ყოფილი შეგირდები მეხმარებიან.

**— თქვენი კლუბის აღსაზრდელებიდან ვინმემ თუ მიაღწია სერიოზულ წარმატებას?**

— გიორგი ნავროზაშვილმა ახლახან საერთაშორისო ტურნირი მოიგო, საქართველოს ჩემპიონები გახდნენ ნოდარ ასათიანი და ირაკლი დარსაველიძე. არიან კიდევ ბიჭები, რომლებსაც მრავალი ჯილდო აქვთ მოგებული.

**— სამომავლოდ რას გეგმავთ?**

— უპირველეს ყოვლისა, კლუბის სპორტული ბაზის კიდევ უფრო კეთილმოწყობას ვაპირებთ. გვინდა, თანამედროვე ტიპის საჩოგბურთო კლუბი ჩამოვაყალიბოთ. ამის შემდეგ უკვე შეგვეძლება, გაცილებით მასშტაბური ტურნირების მასპინძლობაზეც ვიფიქროთ.

**ბაჩო სვანიძე**



## ხუთ წრე ჩრდილში

# ეჭვს აურზაური მოჰყვა

**ოლიმპიური** ოჯახის ერთსულოვნების მიუხედავად, აქა-იქ მაინც გაისმის კითხვა — უნდა უმასპინძლოს თუ არა სოლტ ლეიკ სიტიმ ზამთრის ოლიმპიურ თამაშებს. ოლიმპიური მოძრაობის მმართველი ორგანო მიმდინარე მოვლენების ფონზე საგანგაშოს ვერაფერს ხედავს. იგი ოლიმპიური სიმშვიდით აცხადებს, რომ თეთრი ოლიმპიადა დათქმულ დროს, 8-24 თებერვალს გაიმართება. თუმცა ოლიმპიზმის მამათა ერთსულოვნებას რამდენიმე დღის წინ სოკ-ის პატივცემული წევრის, ნორვეგიელი გერჰარდ ჰეიბერგის საჯარო განცხადებამ წყალი შეუყენა. ამ ხნის განმავლობაში პირველად მოხდა, რომ გავლენიანმა სოკ-ელმა მოხელემ 2002 წლის ოლიმპიადის ჩატარება-არჩატარება ეჭვქვეშ დააყენა.

„ომის მდგომარეობაში მყოფ ქვეყანას არ შეუძლია ოლიმპიური თამაშების მასპინძლობა. ღირს თუ არა ოლიმპიადის მასპინძლობა, ეს დღეს ყველაზე აქტუალური საკითხია. ძალიან ძნელია სამი თვით ადრე იმის განსაზღვრა, თუ რა შეიძლება მოხდეს" — განუცხადა ჰეიბერგმა ნორვეგიულ „აფტენპოსტენს".

არადა, ამ კაცის სიტყვებს სოკ-ში დიდი წონა აქვს. ჰეიბერგი თავის დროზე ზამთრის ოლიმპიური თამაშების ისტორიაში საუკეთესოდ შეფასებული ლილეჰამერის ოლიმპიადის ორგანიზატორი გახლდათ. დღეს იგი სოლტ ლეიკ სიტის ოლიმპიადის სოკ-ის საზედამხედველო კომისიის წევრია. ამიტომაც რა გასაკვირია, რომ მის განცხადებას ასეთი გამოხმაურება მოჰყვა. თუმცა შემდგომ სურათი შეიცვალა. ჰეიბერგმა განმარტა, რომ მას არასწორად გაუგეს და ოლიმპიადის ჩატარება-არჩატარების საკითხი საერთოდ არ დაუსვამს.

„თავიდან ბოლომდე ნათელი პოზიცია მეკავა. დიახ, ოლიმპიურმა თამაშებმა 8 თებერვალს უნდა აიღოს სტარტი. მე კვლავაც მჯერა და მხარს ვუჭერ ამას. მსოფლიოს სჭირდება ნორმალურად ორგანიზებული ოლიმპიადის ხილვა" — „ასოშეითედ პრესთან" საუბარში განაცხადა გერჰარდ ჰეიბერგმა.

სკანდინავიელმა პატიება სთხოვა სოლტ ლეიკ სიტის თამაშების საორგანიზაციო კომიტეტის ხელმძღვანელ მიტ რომნისაც:

„რომნის ბოდიში მოვუხადე. მე ხომ არც მიფიქრია, ოლიმპიადის სოლტ ლეიკ სიტიში ჩატარება საეჭვოდ გამეხადა და მიტმაც გამიგო. სხვაგვარად არც შეიძლებოდა ყოფილიყო. ჩვენ აქამდეც კარგი მეგობრები ვიყავით და კვლავაც ერთად გავაგრძელებთ მუშაობას".

რაც შეეხება საერთაშორისო ოლიმპიურ კომიტეტს, მის ხელმძღვანელობას სჯერა, რომ სოლტ ლეიკ სიტის თეთრ ოლიმპიადას არანაირი საფრთხე არ ემუქრება, თუ, რა თქმა უნდა, მესამე მსოფლიოს ომი არ დაიწყო.

# კანონდამრღვევებს თამაშებს არ აკარებენ

**ტერაქტებით** დამფრთხალი ამერიკელები ყველაფერს სიფრთხილით ეკიდებიან. ოლიმპიურ თამაშებზე მოხალისედ ყოფნა თითქოს პრობლემას არ წარმოადგენს, მაგრამ ამ უწყინარი საქმიანობის მსურველთა განცხადებებსაც კი საგულდაგულოდ სწავლობენ და ლამის რენტგენით ათვალიერებენ.

ოლიმპიური თამაშების მოხალისეთა არმიაში ყოფნა განსაკუთრებით ამერიკელთათვის ამაყად ჟღერს, მაგრამ როდესაც უარით გისტუმრებენ, ეს უკვე თავლაფდასხმის ტოლფასია. მით უმეტეს, რომ იქ, ოკეანის გაღმა, ასეთ რამეებს უყურადღებოდ არ ტოვებენ.

სოლტ ლეიკ სიტის ოლიმპიურ თამაშებამდე სულ ცოტა დრო რჩება. მისი წარმატება კი ნაწილობრივ მოხალისეებზეა დამოკიდებული. დაიწყო მათი შერჩევის პროცესიც, თუმც დაახლოებით 300 კაცი ასეთი პატივის გარეშე დარჩა, რადგან ყველა მათგანს წარსულში ესა თუ ის კანონდარღვევა აღმოუჩინეს. მართალია, ეს დიდი ციფრი არაა, მაგრამ არც საბოლოოა. იუტას შტატის სამართალდამცავმა ორგანოებმა ჯერჯერობით იმ თანამშრომელთა სამი პროცენტი შეამოწმეს, რომლებსაც უმთავრეს სპორტულ ღონისძიებაზე მუშაობა ანდეს. ასე რომ, სავსებით შესაძლებელია, უარით გასტუმრებულთა რაოდენობა რამდენიმე ათასამდე გაიზარდოს, იტყობინება „ვაშინგტონ პოსტი".

აღსანიშნავია, რომ მოხალისეთ მუშაობის მსურველთა თითოეული განცხადების თუ ბიოგრაფიის შესწავლა სოლტ ლეიკ სიტის თამაშების საორგანიზაციო კომიტეტს 10 დოლარი, მთლიანობაში კი ამგვარი შემოწმებები მილიონი დოლარი დაუჯდებათ. ოლიმპიადის თანამშრომელთა თუ მომსახურე პერსონალის შემოწმებებს დამოუკიდებლად ატარებს ფედერალური საგამოძიებო ბიუროც.

სხვათა შორის, ამ მხრივ გამონაკლისი არც საორგანიზაციო კომიტეტის პრეზიდენტ მიტ რომნისთვისაა დაშვებული. მასაც ისევე როგორც რიგით მოსამსახურეს, ზედმიწევნით შეამოწმებენ.

კრიმინალური საგამოძიებო ბიუროს თანამშრომლები ამოწმებენ შტატისა და ეროვნულ მონაცემთა ბაზებში არსებულ ყველა ინფორმაციას. კერძოდ, ნარკოტიკებთან და ალკოჰოლთან დაკავშირებულ ბრალდებებს.

სხვათა შორის, უარით გასტუმრებულთა უმეტესობა სწორედ ზემოთ ხსენებულ ბრალდებების გამო დაიწუნეს. უარი ელით იმათაც, ვინც ძალადობაში, სექსუალურ ზეწოლაში, თაღლითობაში, ძარცვა-ყაჩაღობაში, იარაღის უკანონოდ ტარებასა და ბავშვთა შეურაცხყოფაშია მხილებული.

**გიგა გურასპიშვილი**



ეროვნული ბიბლიოთეკა



REUTERS ლას ვეგასიდან

# შეეძინათ!

**შტეფი გრაფს და ანდრე აგასის ბიჭი გაუჩნდათ, რომელსაც ჯადენ გილი დაარქვეს. წყვილმა სულ ერთი კვირის წინ, ლამის საიდუმლოდ დაიწერა ჯვარი. მათი მეგობრობა 1999 წელს დაიწყო, როცა ორივემ საფრანგეთის ღია პირველობა მოიგეს. ჯადენ გილი კი მოუსვენარი ვინმე ყოფილა, სავარაუდოზე სამი კვირით ადრე მოვლენია ქვეყანას ლას ვეგასის სამშობიაროში.**



REUTERS ნიუ იორკიდან

# ჯორდანი ბირჟაზე

**ამ გაზეთს რომ ხელში აიღებთ, ნბა-ს რეგულარული ჩემპიონატის პირველი დღე უკვე ჩავლილი იქნება. მაიკლ ჯორდანი კი ნიუ იორკის საფონდო ბირჟაზე მისულა და მის თავმჯდომარეს რიჩარდ გროსოს შეხვედრია. ამ ვიზიტით ჯორდანს მოვაჭრეებისთვის უთქვამს, კალათბურთში დავბრუნდი და „ვაშინგტონ ვიზარდზის" აქციებს ახლა სულ სხვა ფასი ექნებაო.**



ეროვნული ბიბლიოთეკა

# ჩვენ არ დავჩლუნგებულვართ

დრომ და ვითარებამ ისე მოიტანა, რომ ჟურნალისტები საქართველოში განკერძოებულ, ცალკე სოციალურ ფენას წარმოადგენენ. მასმედიის მსახურთა ასეთი მდგომარეობა, ცხადია, მხოლოდ და მხოლოდ პოლიტიკური სიტუაციითაა განპირობებული — ხალხს თავის საყვარელი ტელეარხები და გაზეთები აქვს, რომლებისაც ყველაზე მეტად სჯერა. აი, ალბათ ამით თუ არის პრესა ცალკე სოციალური ფენა.

განსაკუთრებული, ბოლო დროისთვის უჩვეულო აქცია იყო გუშინ ტელეკომპანია „რუსთავი 2"-ის ოფისთან. ძალოვანები „რუსთავი 2"-ს ედავებიან, ოფისში შეღწევას და ჩხრეკას ლამობენ. მთელ ქალაქს, ქვეყანას მოედო ეს ამბავი, ყველა დაინტერესდა მომხდარით და ყველამ თავისი სიტყვა თქვა, ქუჩაში გასულმა თუ შინ დარჩენილმა.






განსაკუთრებული დღე იყო გუშინ. მიტინგების ეპოქის შემდეგ ალბათ პირველად ჩატარდა დაუგეგმავი, სტიქიური თავშეყრა ხალხისა, ვინც მხარდაჭერას უცხადებდა კონკრეტულ ტელეკომპანიას და...

ეს არ იყო მხოლოდ „რუსთავი 2"-ის მხარდამჭერთა მიტინგი, ეს პოლიტიკური აქცია გახლდათ და ობივატელებსა და მოსეირეებს იქ ვერ შეამჩნევდით.

მომიტინგეთა დიდ ნაწილს არაპრივილეგირებული და ღირსებაშენარჩუნებული ხალხი შეადგენდა. უშიშროებასა და „რუსთავი 2"-ს შორის მომხდარმა ინციდენტმა საშუალება მისცა მიტინგზე მისულ ხალხს, ჟინიანად, დაბეჯითებით ეთქვა სამსიტყვიანი ფრაზა — ჩვენ არ დავჩლუნგებულვართ.

ერთ ხანს აქციას სათავეში პარლამენტარი კობა დავითაშვილი ჩაუდგა. სიტყვით გამოვიდნენ სხვა პოლიტიკოსებიც, ხელოვნების მოღვაწეები, ჟურნალისტები და ის მომიტინგეები, რომელთაც ამის სურვილი გააჩნდათ. გამომსვლელთა პათოსი ერთგვაროვანი გახლდათ, „რუსთავი 2"-ის და მთელი ქართული პრესის მხარდაჭერა, პოლიციისა და უშიშროების მიმართ უკმაყოფილება, უნდობლობა და... თავდაცვის ინსტინქტი.

დენი, გაზი, ხელფასი თუ პენსია მეორეხარისხოვანი იყო მომიტინგეთათვის. მოთხოვნები სულ სხვაგვარი იყო, პრეზიდენტისა და მთავრობის გადაყენება, ძალოვანი მინისტრებისთვის საკადრისი პასუხის გაცემა.

აქცია აგრესიული არ ყოფილა. ჭირთათმენაც იყო, სიმართლის თქმაც და ახალი, ქმედითი ზომების მიღების დიდი სურვილიც — ასე გაგრძელება აღარ შეიძლება.

ზემოთ მიტინგების ეპოქა ვახსენეთ და იმ დროების მთავარი ხალხი, ახალგაზრდობაც მისულიყო გუშინ „რუსთავი 2"-ის ეზოში, ვისაც სურს, რომ ეს ქვეყანა მათიც იყოს და არა მხოლოდ ვიღაც-ვიღაცეების.

ცალკე სოციალური ფენა, რომელსაც ცალკე ებრძვიან და ბეჭებზე დადებას უპირებენ, ცალკე არ ყოფილა. გუშინდელი „რუსთავი 2"-ის ეზო ჩვენი ეზო იყო.

**დავით თავართქილაძე**

**გურამ დოლენჯაშვილის ფოტოები**





სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

მთავარი რედაქტორი ზურაბ პოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
ტექნიკური რედაქტორი ვახტანგ ბზიკაძე
ფეხბურთის რედაქციის რედაქტორი სოსო კოტორეიშვილი
კალათბურთის და ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი მერაბ რატიშვილი
ფეხბურთის რედაქცია სოლომონ გულისაშვილი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, პაატა კვანტალიანი
კალათბურთის და ინფორმაციის რედაქცია გია ახალაძე, გიო ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, დავით გულუა, ავთანდილ გურასაშვილი, ირაკლი ფირაშვილი
კორესპონდენტი ქუთაისში იუზა კაციტაძე
ფოტორეპორტიორები გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები მაია აბზიანიძე, ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი ლია ბესელია, ელენე გელუტაშვილი, თამაზ გოგებაშვილი, მამუკა გუბელაძე, სვეტა დევაძე, მაგდა დოგრაშვილი, კახა თალაკვაძე, მარიამ ტაბიძე, თენგიზ ფოფხაძე, ნინო ყუფუნია, მალხაზ ჭუმბურიძე
გამომშვები ზურაბ ინაშვილი

რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი:
თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა
sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია
http://www.sarbieli.com.ge